წინასაარჩევნო მონიტორინგის შუალედური ანგარიში:

სექსიზმი და გენდერული სტერეოტიპები სოციალურ მედიაში

MDF
მედიის განვითარების ფონდი
MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION
Sapari / Сапари
UN JOINT PROGRAMME FOR GENDER EQUALITY
Sverige
UNDP

MDF
მედიის განვითარების ფონდი
MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION

Safari / საფარი

UN JOINT PROGRAMME
FOR GENDER EQUALITY

შვედეთი
Sverige

UNDP

წინასაარჩევნო მონიტორინგის შუალედური ანგარიში:

სექსიზმი და გენდერული სტერეოტიპები სოციალურ მედიაში

ავტორი:
ქეთი მსხილაძე

მკვლევარები:
მედეა სულამანიძე, მარიამ ტალახაძე

რედაქტორი:
თამარ კინწურაშვილი

დიზაინი:
ბესიკ დანელია

გარეკანის ფოტო:
Shutterstock, MJgraphics

კვლევის ანგარიში მომზადდა მედიის განვითარების ფონდის (MDF) მიერ გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მთავრობის ხელშეწყობით, გაეროს ერთობლივი პროექტის „გენდერული თანასწორობისთვის“ ფარგლებში. გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება, არ ასახავდეს ზემოთ ჩამოთვლილი საერთაშორისო ორგანიზაციების მოსაზრებებს.

MDF
მედიის განვითარების ფონდი
MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION

Sapari / Laogahn

UN JOINT PROGRAMME
FOR GENDER EQUALITY

შვედეთი
Sverige

UNDP

შესავალი

პროექტი „გენდერბარომეტრი – სექსისტური განცხადებების მონიტორინგი წინასაარჩევნო პერიოდში“ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით ხორციელდება. პროექტს მედიის განვითარების ფონდი (MDF) კავშირ „საფართან“ პარტნიორობით ახორციელებს. მონიტორინგის მიზანია წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში სოციალურ ქსელებში ქალი პოლიტიკოსების და სხვადასხვა საჯარო ინსტიტუტების ქალი წარმომადგენლების მიმართ გამოყენებული სექსისტური სიძულვილის ენის და გენდერული სტერეოტიპების, ასევე ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით წარმოებული კამპანიების გამოვლენა.

პროექტის ფარგლებში ორგანიზაცია „საფარმა“ მედიაექსპერტების, პოლიტიკოსებისა და გენდერის სპეციალისტების მონაწილეობით ფოკუს ჯგუფები ჩაატარა და საერთაშორისო გამოცდილებასა და ქართულ პოლიტიკურ რეალობაზე მორგებული სექსისტური სიძულვილის ენის ინდიკატორები ჩამოაყალიბა. ამ ინდიკატორებზე დაყრდნობით და ფეისბუკის ანალიტიკური ხელსაწყოს Crowdtangle-ს გამოყენებით, მედიის განვითარების ფონდმა (MDF) სოციალური მედიის მონიტორინგის მეთოდოლოგია შეიმუშავა, რომლის შუალედური მიგნებები წინამდებარე ანგარიშშია წარმოდგენილი.

ანგარიშში, რომელიც 4 აგვისტოდან 4 ნოემბრის ჩათვლით სამი თვის მონაცემებს ასახავს, შემდეგ საკითხებს მოიცავს: მონიტორინგის მეთოდოლოგიის და მთავარი მიგნებების მიმოხილვის შემდეგ, პირველ ნაწილში მოცემულია საერთო რაოდენობრივი მონაცემები, თემატიკის, ტერმინოლოგიის და სექსისტური ენის ადრესატებისა და წყაროების მიხედვით; მეორე ნაწილი თვისებრივი ანალიზის შედეგებს ეთმობა, კერძოდ, განხილულია ტიპური მაგალითები დარღვევის კატეგორიების მიხედვით და რამდენიმე კონკრეტული შემთხვევა, რომლებიც საერთო მასალიდან კამპანიური და დეზინფორმაციული ხასიათით გამოირჩეოდა.

წინათქმა

21-ე საუკუნეს ქალების საუკუნესაც უწოდებენ. მნიშვნელოვანი ნაბიჯები იდგმება გენდერული თანასწორობის მიღწევის და ქალთა უფლებების გაძლიერების მიზნით. ქალები სულ უფრო აქტიურ როლს თამაშობენ პოლიტიკაში, მათ შორის საარჩევნო პროცესებში. თუმცა, ქალების აქტიურობის მიუხედავად, ქალთა წარმომადგენლობა პოლიტიკაში მსოფლიოში ჯერ კიდევ დაბალია, საქართველოში კი ეს მონაცემი მხოლოდ 16% აღწევს. პოლიტიკური გარემო ქალი პოლიტიკოსებისათვის მეგობრული და უსაფრთხო არ არის და რაც უფრო მეტად ჩანან ქალები პოლიტიკაში, მით უფრო მეტად ხდებიან დისკრიმინაციული კამპანიების სამიზნეები.

არჩევნების დროს ქალთა მიმართ ონლაინ ძალადობა[1] ზოგადი ტერმინია, რომელიც მოიცავს ძალადობრივი დისკურსის ფართო სპექტრს – სექსისტური სიძულვილის ენიდან დაწყებული ფიზიკური ძალადობის ღია მუქარით დასრულებული. ამ ძალადობის სამიზნე საჯარო თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილე ქალები მხოლოდ იმიტომ ხდებიან, რომ ქალები არიან. ასეთი ძალადობა გამოიყენება საზოგადოებაში ქალის ტრადიციული როლების გასამყარებლად და მოტივირებულია სურვილით, შეზღუდონ და გააკონტროლონ ქალები, ხელი შეუშალონ მათი პოლიტიკური უფლებების რეალიზებას. მისი მიზანი კი არის, სურვილი დაუკარგოს ქალებს, იყვნენ პოლიტიკურად აქტიურები და მონაწილეობა მიიღონ საჯარო ცხოვრებაში.

სოციალური ქსელის ფუნქციები – გამოქვეყნება, გაზიარება, მოწონება თუ კომენტირება, არჩევნების დროს პოლიტიკოსი ქალების დისკრედიტაციას აადვილებს. სოციალური მედია ქმნის ფორუმს, სადაც მრავალრიცხოვან აუდიტორიას შეუძლია, მიზოგინიური სტატუსების, ტყუილების, ჭორების, ყალბი თუ მანიპულაციური ფოტოების და ვიდეოების ტირაჟირებაში ჩაერთოს. ის სისწრაფე კი, რითიც ინფორმაცია სოციალური მედიით ვრცელდება, სამიზნის მიმართ სიძულვილს აღრმავებს და საზოგადოებაზე ამ სიძულვილის ზეგავლენას აძლიერებს.

[1] VIOLENCE AGAINST WOMEN IN ELECTIONS ONLINE: A SOCIAL MEDIA ANALYSIS TOOL
https://www.ifes.org/publications/violence-against-women-elections-online-social-media-analysis-tool

შინაარსი

სოციალური მედიის მონიტორინგის მეთოდოლოგია 8

მთავარი მიგნებები 10

I. რაოდენობრივი მონაცემები 12

1.1. თემატიკა 12

1.2. დარღვევების ტიპოლოგია 13

1.3. სექსისტური სიძულვილის ენის/სტერეოტიპიზაციის წყაროები 13

1.4. ადრესატები 20

1.5. ტერმინოლოგია 23

II. თვისებრივი ანალიზი 26

2.1. მორალური კრიტერიუმებით თავდასხმა 26

2.2. გენდერული სტერეოტიპებით გაკიცხვა 33

2.3. გარეგნული მახასიათებლების ნიშნით შეურაცხყოფა/დაცინვა 37

2.4. გონებრივი შესაძლებლობების ნიშნით შეურაცხყოფა/დაცინვა 44

2.5. სექსიზმი/მიზოგინია 47

2.6. ეიჯიზმი 49

3. მადისკრედიტირებელი კამპანიები 51

3.1. დისკრედიტაციის კამპანია „ევროპული საქართველოს“ მაჟორიტარობის კანდიდატის ელენე ხოშტარიას წინააღმდეგ 51

3.2. დისკრედიტაციის კამპანია პარტია „სამართლიანობისთვის“ ლიდერის ეკა ბესელიას წინააღმდეგ 58

3.3. დეზინფორმაციის გავრცელებით დისკრედიტაციის მცდელობები 62

სოციალური მედიის მონიტორინგის მეთოდოლოგია

კვლევა შერეული მეთოდოლოგიით ხორციელდება: გამოყენებულია მონაცემების დამუშავების როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მეთოდი.

სოციალური მედიის მონიტორინგისთვის გამოყენებულია ფეისბუკის ანალიტიკური ინსტრუმენ-ტი Crowdtangle, რომელშიც დაკვირვება წინასწარ შერჩეული მონიტორინგის სუბიექტებზე ხდება. Crowdtangle-ის ბაზის განახლება ახლად გამოვლენილი სოციალური მედიის ანგარიშებით მუდმივად ხდე-ბა. სოციალური მედიის მონიტორინგის გარდა გამოყენებულია ტრადიციული მედიის (ტელევიზია, ონლაინ მედია, ბეჭდვითი მედია) მონიტორინგის მიგნებები.

დაკვირვების საგანია გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის/სტერეოტიპიზაციის:

- თემატიკა,
- დარღვევის ტიპოლოგია,
- წყაროები,
- ადრესატები,
- ტერმინოლოგია.

რაოდენობრივი კომპონენტი მოიცავს სტატისტიკას დარღვევის კატეგორიების, თემების და წყაროების (სამონიტორინგო მედია, პარტიები, საზოგადოება, ხელისუფლება, სხვა), ასევე, სექსისტური სიძულვილის ენის სამიზნეების და გამოყენებული ტერმინების მიხედვით.

თვისებრივი ნაწილი მოიცავს გზავნილების ტიპოლოგიას, მაგალითებს სექსისტური სიძულვილის ენის ფორმების და ინდიკატორების მიხედვით, ასევე ვიზუალური (ვიდეო და ფოტო) მანიპულაციის ტიპებს.

დარღვევის ტიპოლოგია განისაზღვრა გენდერბარომეტრის ინდიკატორების მიხედვით, რომლებიც, თა-ვის მხრივ, საექსპერტო ფოკუს ჯგუფების საფუძველზე "საფარმა" შეიმუშავა. აღნიშნული კვლევის შედე-გად „საფარმა" ქართული რეალობისთვის დამახასიათებელი სექსისტური სიძულვილის ენის 18 ფორმა გამოყო შესაბამისი ინდიკატორებით.[2]

[2] სრულად „საფარის" მიერ ჩატარებული კვლევის ანგარიში იხილეთ ვებგვერდზე: Genderbarometer.ge.

მიგნებების ნაწილში ასახულია მხოლოდ ის ინდიკატორები, რომლებიც საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა.

სუბიექტების შერჩევა. დაკვირვება ხორციელდებოდა სოციალური მედიის ანგარიშებზე, რაც შემდეგ კატეგორიებს მოიცავს:

- **ფეისბუკ გვერდები:** პარტიული, პარტიების მხარდამჭერი, ოპონენტების წინააღმდეგ მიმართული, მედიის და სხვადასხვა თემატური გვერდები.
- **საჯარო ფეისბუკ ჯგუფები,** სადაც პოსტებს სხვადასხვა გვერდები ან ინდივიდუალური პროფილები აქვეყნებენ.
- **ინდივიდუალურ ფეისბუკ ანგარიშები.**

სოციალურ მედიაში სექსისტური სიძულვილის ენის/სტერეოტიპიზაციის გამოყენების მონიტორინგისთვის წინასწარ შეირჩა ფეისბუკის 117 ანგარიში, თუმცა ეს ბაზა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გამოვლენილი ახალი პლატფორმებით პერიოდულად ივსება. შერჩეული გვერდები მოიცავს ფართო პოლიტიკურ სპექტრს: მმართველი პარტიის მხარდამჭერ და ხელისუფლების ოპონენტების მადისკრედიტირებელ ანგარიშებს; „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერ და ხელისუფლების მადისკრედიტირებელ ანგარიშებს; „ლეიბორისტულ პარტიასთან“, „პატრიოტთა ალიანსთან“, „ქართულ მარშთან“ დაკავშირებულ ანგარიშებს, ანტილიბერალურ ჯგუფებთან დაკავშირებულ, პროპაგანდისტულ, კრემლთან დაკავშირებულ ანგარიშებს. ამასთანავე მონიტორინგის სუბიექტების განახლება ახლადგამოვლენილი ფეისბუკ ანგარიშების მიხედვითაც ხდება.

მთავარი მიგნებები

წინამდებარე ანგარიში მიმდინარე წლის 3 თვის (4 აგვისტო – 4 ნოემბრის) მონიტორინგის შედეგებს ასახავს.

საანგარიშო პერიოდში გამოვლენილი შემთხვევების საფუძველზე შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:

- **სექსისტური სიძულვილის ენა და სტერეოტიპიზაცია:** მონიტორინგის პერიოდში გენდერული ნიშნით დარღვევის სულ 213 შემთხვევა გამოვლინდა;
- **წყაროები:** ყველაზე მეტი დარღვევა ხელისუფლების ოპონენტების მადისკრედიტირებელი ანგარიშების მხრიდან აღინიშნა (75 შემთხვევა), რომლებსაც ანტილიბერალურ ჯგუფებთან დაკავშირებული ფეისბუკ ანგარიშები (33) მოსდევდა;
- მორალური კრიტერიუმებით თავდასხმის წყარო ყველაზე ხშირად ხელისუფლების ოპონენტების მადისკრედიტირებელი (33) და „ქართული ოცნების"/მხარდამჭერი (10) ანგარიშები იყო;
- სექსიზმის/მიზოგინიის კატეგორიაში (18) დარღვევების რაოდენობით პირველობა ანტილიბერალურ ჯგუფებთან დაკავშირებულ ანგარიშებს ჰქონდა;
- გენდერული სტერეოტიპებით გაკიცხვის კატეგორიაში (8) „პატრიოტთა ალიანსის"/ მხარდამჭერების/ დაკავშირებული ანგარიშები ლიდერობდნენ;
- გარეგნული მახასიათებლების ნიშნით შეურაცხყოფის/დაცინვის კატეგორიაში (7) ყველაზე მეტი დარღვევა ხელისუფლების მადისკრედიტირებელი ანგარიშების შემთხვევაში გამოვლინდა;
- **დარღვევების ტიპოლოგია:** ყველაზე ხშირად პოლიტიკოსი ქალების გაკიცხვა მორალური კრიტერიუმების (68) და გენდერული სტერეოტიპების (44) ნიშნით ხდებოდა, რომლის მიზანიც იყო ქალების შერცხვენა და მათი რეპუტაციის შელახვა; მათ თანაბარი რაოდენობით მოსდევს გარეგნული მახასიათებლების ნიშნით დაცინვის/შეურაცხყოფის (38) და გონებრივი შესაძლებლობების ნიშნით დაცინვის შემთხვევები (38).
- **ადრესატები:** სექსისტური სიძულვილის ენის და გენდერული დისკრიმინაციის ადრესატებს შორის ყველაზე მეტი მმართველი პარტიის და ხელისუფლების წარმომადგენელი (7) იყო, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობის" (6) და „ევროპული საქართველოს" წარმომადგენლები (5) მოსდევდნენ.
- დარღვევების რაოდენობის მიხედვით, სექსისტური თავდასხმების ყველაზე ხშირი ადრესატები იყვნენ „ევროპული საქართველოს" (60 შემთხვევა), „ნაციონალური მოძრაობის" (56) და „ქართული ოცნების" (27) წარმომადგენლები.
- **დისკრედიტაციის კამპანიები:** თავდასხმები, უმეტეს შემთხვევაში, ერთჯერადი და სპონტანური იყო, თუმცა საანგარიშო პერიოდში კამპანიური ხასიათი ჰქონდა თავდასხმებს „ევროპული საქართველოს" მაჟორიტა-

რობის კანდიდატის ელენე ხოშტარიას და პარტია „სამართლიანობისთვის“ დამფუძნებლის ეკა ბესელიას წინააღმდეგ;

- გამოვლინდა დეზინფორმაციის გზით პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის დისკრედიტაციის 2 შემთხვევა;
- ზოგიერთ პოლიტიკოსს უმეტესად ერთი მახასიათებლის საფუძველზე აყენებენ შეურაცხყოფას, მაგალითად, ასაკის ანდა ქალის ქცევაზე სტერეოტიპული წარმოდგენის ნიადაგზე;
- ქალი პოლიტიკოსების დისკრედიტირებისთვის გამოიყენებოდა ტექსტი (სტატუსები), მანიპულაციური ფოტოები და ვიდეოები;
- **ტერმინოლოგია:** შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის დიაპაზონი მერყეობდა ნორმატიული ლექსიკიდან, რომელიც სექსისტური კონოტაციით არის ნათქვამი, უცენზურო, უხამს ლექსიკამდე. ერთსა და იმავე შეურაცხმყოფელ ტერმინს ხშირად არ იყენებდნენ. უფრო ხშირი იყო სინონიმების ან კონკრეტული ტერმინის სხვადასხვა სიტყვათშეთანხმებაში გამოყენების შემთხვევები;
- **კანონმდებლობის კრიტიკა:** სამონიტორინგო პერიოდში გამოიკვეთა იმ კანონმდებლობის კრიტიკის ტენდენცია, რომელიც ხელს უწყობს ქალთა უფლებების გაძლიერებას, ძალადობისგან ქალების დაცვას და ზოგადად, გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრას.

I. რაოდენობრივი მონაცემები

1.1. თემატიკა

მონიტორინგის პერიოდში 4 აგვისტოდან 4 ნოემბრის ჩათვლით, სექსისტური სიძულვილის ენის/გენდერული სტერეოტიპიზაციის სულ 213 შემთხვევა გამოვლინდა. გამოვლენილი დარღვევები სამ თემატიკას ეხებოდა – პოლიტიკა, გენდერი და კანონმდებლობა. ყველაზე მეტი დარღვევა (136 შემთხვევა) პოლიტიკის თემაზე გამოვლინდა, რაც მეტწილად წინასაარჩევნო პოლიტიკურ პროცესს და ამ პროცესის მონაწილე სუბიექტებს უკავშირდებოდა. ამ თემატიკის ქვეშ გაერთიანდა ის შემთხვევები, რომლებშიც ქალი პოლიტიკოსები სექსისტური სიძულვილის ენის და სტერეოტიპიზაციის სამიზნეები ხდებოდნენ მათი პოლიტიკური კუთვნილების და საქმიანობის გამო. სიხშირით მეორე თემატიკა გენდერი იყო (75 შემთხვევა), სადაც გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევებია გაერთიანებული, რომლის სამიზნეც ქალი პოლიტიკოსები მათი გენდერული იდენტობის გამო არიან; მესამე კი – კანონმდებლობა (12), რაც იმ რეგულაციების კრიტიკას და გადახედვის აუცილებლობას შეეხება, რომელიც თანასწორობის საკითხებს აერთიანებს. თემატურ ჭრილში გამოვლენილი დარღვევების პროცენტული გადანაწილება, შესაბამისად, იყო 60.8%, 33.8% და 5.4%.

დიაგრამა 1.
სექსისტური სიძულვილის ენის / სტერეოტიპიზაციის შემთხვევები თემატიკის მიხედვით (%)



1.2. დარღვევების ტიპოლოგია

მონიტორინგის გზით გამოვლენილი სექსისტური სიძულვილის ენის/სტერეოტიპიზაციის შემთხვევები, გენდერბარომეტრის ინდიკატორების მიხედვით, შემდეგ კატეგორიებად დაჯგუფდა:

1. სექსიზმი/მიზოგინია – ქალებსა და ქალთა უფლებებზე თავდასხმები,
2. გარეგნული მახასიათებლების ნიშნით შეურაცხყოფა/დაცინვა – შეურაცხყოფის მიყენება და დაცინვა სხეულის, გარეგნობის, საუბრის მანერის, ჩაცმულობის ნიადაგზე,
3. ეიჯიზმი – დისკრიმინაცია ასაკის ნიშნით,
4. გონებრივი შესაძლებლობების ნიშნით შეურაცხყოფა/დაცინვა – ინტელექტუალური უნარების, გამოცდილების, კომპეტენციების დაკნინება,
5. მორალური კრიტერიუმებით თავდასხმა – ზნეობრივი ღირებულებების საფუძველზე თავდასხმა,
6. გენდერული სტერეოტიპებით გაკიცხვა – თავდასხმები ქალის გენდერული როლის, ქცევის, დანიშნულების, საქმიანობის თუ სხვა მახასიათებლის შესახებ სტერეოტიპული წარმოდგენების საფუძველზე.

ყველაზე ხშირად ქალ პოლიტიკოსებს თავს ესხმიან მორალური კრიტერიუმების (68 შემთხვევა) და გენდერული სტერეოტიპების საფუძველზე (44). მათ თანაბარი რაოდენობით მოსდევს გარეგნული მახასიათებლების ნიშნით დაცინვის/შეურაცხყოფის (38) და გონებრივი შესაძლებლობების ნიშნით დაცინვის შემთხვევები (38). სექსიზმის/მიზოგიინის კატეგორიაში 20 შემთხვევა გამოვლინდა. ყველაზე ცოტა იყო ეიჯიზმის, ანუ ასაკის ნიშნით შეურაცხყოფის შემთხვევა (5). პროცენტულ გამოსახულებაში დარღვევების ტიპოლოგია მოცემულია დიაგრამაში 2.

დიაგრამა 2. დარღვევების ტიპოლოგია (%)



1.3. სექსისტური სიძულვილის ენის / სტერეოტიპიზაციის წყაროები

საანგარიშო პერიოდში (4 აგვისტო – 4 ნოემბერი) სექსისტური სიძულვილის ენის გამოყენების და გენდერული ნიშნით სტრეოტიპიზაციის შემთხვევები სულ 72 ანგარიშზე გამოვლინდა.

სოციალური მედიის ანგარიშების დაჯგუფება მათი პოლიტიკური, იდეოლოგიური თუ სხვა კუთვნილების მიხედვით მოხდა, რაც ადრე ჩატარებულ კვლევებს და თავად ფეისბუკ ანგარიშებზე ხელმისაწვდომ ინფორმაციას ეფუძნება. გამოიკვეთა შემდეგი ჯგუფები:

1. მმართველი პარტიის მხარდამჭერი ანგარიშები;
2. ხელისუფლების ოპონენტების მადისკრედიტირებელი ანგარიშები;
3. „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერი ანგარიშები;
4. ხელისუფლების მადისკრედიტირებელი ანგარიშები;
5. „ლეიბორისტულ პარტიასთან“ დაკავშირებული ანგარიშები;
6. „პატრიოტთა ალიანსთან“ დაკავშირებული ანგარიშები;
7. „ქართულ მარშთან“ დაკავშირებული ანგარიშები;
8. ანტილიბერალურ ჯგუფებთან დაკავშირებული ანგარიშები;
9. პროპაგანდისტული ანგარიშები, სადაც გაერთიანებულია ის პლატფორმები, რომლებიც, სხვადასხვა კვლევების თანახმად, როგორც საგარეო, ასევე შიდა პოლიტიკის საკითხებზე ხშირად ავრცელებენ დეზინფორმაციას;
10. კრემლთან დაკავშირებული ანგარიში;
11. სხვადასხვა.

ცხრილი 1.
სოციალური მედიის ანგარიშების პოლიტიკური, იდეოლოგიური კუთვნილების / სხვა ნიშნის მიხედვით

მმართველი პარტია და მასთან დაკავშირებული ანგარიშები	„ქართული ოცნების“ და მისი მხარდამჭერი ანგარიშები	ხელისუფლების ოპონენტების მადისკრედიტირებელი
	FB გვერდები ლიდერი 41 ირაკლი კობახიძე / Irakli Kobakhidze **FB ჯგუფები** ჩვენ გავიმარჯვებთ 41 /we will win 41 პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია ბიძინა ივანიშვილის მეგობრები „ფეისბუქზე“ დარეჯან ლიპარტელიანის პოსტი ჯგუფში კახა კალაძე თბილისი მერი **FB ინდივიდუალური ანგარიშები** Sopiko Kikacheishvili ლაშა გვასალია David Akhrakhadze	**FB გვერდები** ქვეყნის მტრები ერთიანი ნაციონალური დვიჟენია მიხეილ უკრაინოლოგი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები რეჟიმი გიყურებს ტერენტი გლდანელი სექტა სირცხვილის კორიდორი რეალობა მეხუთე რეიხი ნაცი კლავს **FB ჯგუფები** ნაცების დასაცინი ოფიციალური სააგენტო „სიმართლის გზა“ გასამართლდეს ნაციონალური მოძრაობა! დავასრულოთ ნაცები – Davasrulot Nacebi!
ოპოზიცია	**„ნაციონალური მოძრაობის“/ მხარდამჭერების ანგარიშები**	**ხელისუფლების მადისკრედიტირებელი**
	FB ჯგუფები Alli Babaa (ტროლი) გააზიარა ჯგუფებში ხატია დეკანოიძე-ისნის მაჟორიტარად მიხეილ სააკაშვილის შტაბი	**FB გვერდები** ქოცების დასაცინი ოფიციალური სააგენტო ექვთიმე ბიძინაშვილი

	ინდივიდუალური FB ანგარიშები Mikheil Saakashvili Kakhaber Adamia მე შენ ლელა Ani Tsitlidze	ჯალათი მამის ცივსისხლიანი შვილი ქვეყნის არაფორმალური მმართველი ლურჯი ვირი What the fuck is that Annual events ყოველწლიური მოვლენები (ოპოზიციასთან დაკავშირებული) ყოველდღიური მოვლენები **FB ჯგუფები** LIVE GEORGIA
„ლეიბორისტული პარტია“	**„პატრიოტთა ალიანსის“, მხარდამჭერების ანგარიშები, დაკავშირებული გვერდები**	**„ქართულ მარშთან“ დაკავშირებული ანგარიშები**
FB გვერდები Shalva Natelashvili – შალვა ნათელაშვილი **ინდივიდუალური FB ანგარიშები** Shalva Natelashvili	**FB გვერდები** Tinp.ge – დღეს პოლიტიკაში[3] Memeატურები[4] პოლიტიკური სარკაზმი პოლიტიკოსები 1 ლარიდან BS Info მედია საშუალების FB გვერდი მედია-კავშირი ობიექტივი[5] **FB ჯგუფები** პატრიოტთა ალიანსის მხარდამჭერები!!! ირმა ინაშვილის მხარდამჭერები POLITIKO **ინდივიდუალური FB ანგარიშები** ნინო კვარაცხელია	**FB გვერდები** ანტილიბერალური დოქტრინა[6] **FB ჯგუფები** „ქართული მარში – ეროვნული მოძრაობის“ მხარდამჭერთა ჯგუფი **„ქართული მარშის“ წევრების ინდივიდუალური FB ანგარიშები** Ermile Nemsadze ერმილე ელგუჯას-ძე ნემსაძე Sandro Breg
	პროპაგანდისტული ანგარიშები	**ანტილიბერალურ ჯგუფებთან დაკავშირებული**
	ონლაინ მედიის FB გვერდები iNews. აინიუსი[7] საერთო გაზეთი[8] მარშალ პრესი[9]	**FB გვერდები** ალტ-ინფო[14] Geo Pepe

3 გვერდი ამჟამად ფეისბუკზე ხელმისაწვდომი არ არის. ფეისბუკმა პატრიოტთა ალიანსთან დაკავშირებული ანგარიშები წაშალა. ფეისბუქი, (5 ნოემბერი, 2020). 2020 წლის ოქტომბრის კოორდინირებული არაავთენტური ქცევის ანგარიში. https://about.fb.com/news/2020/11/october-2020-cib-report/ https://www.mythdetector.ge/ka/myth/ndi-da-iri-sacinaaghmdego-reklama-tinpge-ze-1000-1500-ghirs

4 მითების დეტექტორი (12 მარტი, 2020). „დაუკავშირდით ნამდვილ ოპოზიციას!“ – პატრიოტთა ალიანსთან და სხვა ანტიდასავლურ ჯგუფებთან დაკავშირებული FB ანგარიშები https://www.mythdetector.ge/ka/myth/daukavshirdit-namdvil-opozitsias-patriotta-alianstan-da-skhva-antidasavlur-jgupebtan

5 ობიექტივი, პროფილი. წყარო: მითების დეტექტორი https://www.mythdetector.ge/ka/profile/obiektivi

6 ISFED, 26 oqtomberi, 2020. სოციალური მედიის მონიტორინგი – მეორე შუალედური ანგარიში https://isfed.ge/geo/angarishebi/20102606544 6sotsialuri-mediis-monitoringi-meore-shualeduri-angarishi

7 inews-ის მიერ გავრცელებული ყალბი ინფორმაციები. წყარო: მითების დეტექტორი. http://mythdetector.ge/ka/search?keyword=inews

8 საერთო გაზეთის მიერ გავრცელებული ყალბი ინფორმაციები, წყარო: მითების დეტექტორი. https://bit.ly/2GLjXtY

9 მარშალპრესის პროფილი. წყარო: მითების დეტექტორი. https://www.mythdetector.ge/ka/profile/marshalpresi

	პროპაგანდისტული ანგარიშები	**ანტილიბერალურ ჯგუფებთან დაკავშირებული**
	რეპორტიორი[10] ქართული აზრი[11] Tvalsazrisi.ge[12] **ინდივიდუალური FB ანგარიშები** ირაკლი ჯანყარაშვილი[13]	
	კრემლთან დაკავშირებული	**სხვადასხვა**
	FB ჯგუფები კოტე ჩიკვილაძის და გულბაათ რცხილაძის თანამოაზრეების ჯგუფი: Россия и Грузия[15]	**FB ჯგუფები** რუსთავი 21 / RUSTAVI 21 პროტესტი! Protest! Протест **ინდივიდუალური FB ანგარიშები** Tamaz Chikhladze Gela Zedelashvili ბესიკ ჩუბინიძე

წყაროებს შორის ყველაზე მეტი დარღვევა გამოვლინდა ფეისბუკ გვერდების და ჯგუფების მხრიდან (160 შემთხვევა, 59%), რომელთაც საზოგადოების წარმომადგენლები (65; 31%) და პოლიტიკოსები (22; 10%) მოსდევენ.

1. ფეისბუკ გვერდების და ჯგუფების კატეგორიაში გაერთიანებულია ის შემთხვევები, როდესაც დისკრიმინაციის წყარო თავად სოციალური მედიის ანგარიში იყო;
2. საზოგადოების წარმომადგენლებში გაერთიანებულია ინდივიდუალური პროფილებით, ასევე სხვადასხვა ჯგუფებში ამ პროფილების მიერ გაზიარებული მადისკრედიტირებელი ანგარიშები;
3. პოლიტიკოსების კატეგორიაში შედის პოლიტიკოსების ის პოსტები და კომენტარები, რომლებიც თავად პოლიტიკოსებმა ინდივიდუალურ თუ პარტიის ფეისბუკ ანგარიშებზე გამოაქვეყნეს ან სხვა პლატფორმებით გავრცელდა.

პოლიტიკოსებს შორის დარღვევები ასე გადანაწილდა: ხელისუფლება – 7 (მათ შორის „ქართული ოცნება“ – 2 და აღმასრულებელი ხელისუფლება – 5); „ქართული მარში“ – 6; „ნაციონალური მოძრაობა“ – 3; „ლეიბორისტული პარტია“ – 2; „ქართული იდეა“ – 2; „პატრიოტთა ალიანსი“ – 1 და „ქართული ფესვები“ – 1.

10 საერთაშორისო გამჭვირვალობა, 19 ოქტომბერი, 2015. „ვის ეკუთვნის ქართული მედია“ https://www.transparency.ge/ge/post/report/vis-ekutvnis-kartuli-media

11 „ქართული აზრის“ მიერ გავრცელებული ყალბი ინფორმაციები. წყარო: „მითების დეტექტორი“. https://bit.ly/38MqcsY

12 თვალსაზირისის პროფილი. წყარო: მითების დეტექტორი. http://mythdetector.ge/ka/profile/tvalsazrisige-tvalsazrisige

13 მითების დეტექტორი, 10 ივნისი, 2020. „რა საერთო აქვთ ირაკლი ირაკლი-ს, ანტილიბერალურ დოქტრინას, News Front-სა და tvalsazrisi.ge-ს ერთმანეთთან?“ http://mythdetector.ge/ka/myth/ra-saerto-akvt-irakli-irakli-s-antiliberalur-doktrinas-news-front-sa-da-tvalsazrisige-s

14 2020 წლის ოქტომბრის კოორდინირებული არაავთენტური ქმედების ანგარიში. Facebook, 2020 წლის ოქტომბერი, https://about.fb.com/news/2020/11/october-2020-cib-report/

15 მითების დეტექტორი, 1 ნოემბერი, 2019. News-Front Georgia – კრემლის ახალი საინფორმაციო ფრონტი საქართველოში http://mythdetector.ge/ka/myth/news-front-georgia-kremlis-akhali-sainpormatsio-pronti-sakartveloshi

ცხრილი 2.
დარღვევების რაოდენობა პოლიტიკოსების მიხედვით

პარტიული კუთვნილება	სტატუსი	დარღვევების რაოდენობა
„ქართული ოცნება“		
ლაშა გვასალია	სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის უფროსი	4
ირაკლი კობახიძე	„ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი	1
მამუკა მდინარაძე	„ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე	1
სოფიკო კიკაჩეიშვილი	სამტრედიის რ-ნის სოფელ მელანის გამგებელი	1
„ქართული მარში“		
ერმილე ნემსაძე	„ქართული მარშის“ დასავლეთ საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი, ქუთაისის მაჟორიტარობის კანდიდატი	3
სანდრო ბრეგაძე	„ქართული მარშის“ ლიდერი	3
„ნაციონალური მოძრაობა“		
მიხეილ სააკაშვილი	„ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი	2
ანი წითლიძე	ზუგდიდის საკრებულოს წევრი, „ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციის თავმჯდომარე	1
„ლეიბორისტული პარტია“		
შალვა ნათელაშვილი	ლეიბორისტული პარტიის ლიდერი	2
„ქართული იდეა“		
ალექსანდრე ლორთქიფანიძე	„ქართული იდეის“ დეპუტატობის კანდიდატი	2
„პატრიოტთა ალიანსი“		
ირმა ინაშვილი	„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი	1
„ქართული ფესვები“		
ბესიკ ჩუბინიძე	„ქართული ფესვების“ დეპუტატობის კანდიდატი	1

პოლიტიკურ/იდეოლოგიური თუ სხვა კუთვნილების ნიშნით დაჯგუფებული სოციალური მედიის ანგარიშების მიხედვით დარღვევების ყველაზე მეტი რაოდენობა ხელისუფლების ოპონენტების მადისკრედიტირებელი ანგარიშების შემთხვევაში გამოვლინდა (75); რიგით მეორეა ანტილიბერალურ ჯგუფებთან დაკავშირებული ფეისბუკ ანგარიშები (33), ხოლო მესამე „პატრიოტთა ალიანსის“, მისი მხარდამჭერების და მასთან დაკავშირებული ანგარიშები (23); ხელისუფლების მადისკრედიტირებელი ანგარიშები (19) და „ქართული ოცნების“ და მისი მხარდამჭერი ანგარიშები (19) იდენტური მონაცემით არიან წარმოდგენილი. „ქართულ მარშთან“ დაკავშირებული ანგარიშების შემთხვევაში 9 დარღვევა გამოვლინდა. „ნაციონალურ მოძრაობის“/მხარდამჭერების ანგარიშებზე 6, ხოლო ლეიბორისტული პარტიის ანგარიშებზე 2 დარღვევა აღინიშნა. ჯამში 10 დარღვევა სხვადასხვა ანგარიშებზე გამოვლინდა, სადაც გაერთიანებულია თითო-თითო დარღვევის შემთხვევები.

დარღვევების რაოდენობის პროცენტული გადანაწილება დაჯგუფებული ანგარიშების მიხედვით წარმოდგენილია დიაგრამაზე 4.

დიაგრამა 3.
დარღვევების საერთო რაოდენობა სოციალური მედიის ანგარიშების ჯგუფების მიხედვით (%)



დარღვევების ტიპოლოგიის მიხედვით კი, ასეთი სურათი იკვეთება:

- მორალური კრიტერიუმებით თავდასხმის წყარო ყველაზე ხშირად ხელისუფლების ოპონენტების მადისკრედიტირებელი (33) და „ქართული ოცნების“ / მხარდამჭერი (10) ანგარიშები იყო;
- სექსიზმის / მიზოგინიის კატეგორიაში (18) ანტილიბერალურ ჯგუფებთან დაკავშირებულ ანგარიშები დომინირებდნენ;
- გენდერული სტერეოტიპებით გაკიცხვის კატეგორიაში (8) „პატრიოტთა ალიანსის“, მხარდამჭერების / დაკავშირებული ანგარიშები ლიდერობდნენ;
- ხოლო გარეგნული მახასიათებლების ნიშნით შეურაცხყოფის/დაცინვის კატეგორიაში (7) ყველაზე ხშირად ხელისუფლების მადისკრედიტირებელი ანგარიშები გვხვდებოდა.

დიაგრამა 4.
დარღვევების ტიპოლოგია სოციალური მედიის ანგარიშების ჯგუფების მიხედვით (%)

რაც შეეხება დარღვევებს ცალკეული ანგარიშების მიხედვით, ყველაზე მეტი დარღვევა „სიმართლის გზის“[16] (33) შემთხვევაში გამოიკვეთა, საიდანაც ყველაზე ხშირი მორალური კრიტერიუმებით თავდასხმის შემთხვევები იყო (13). რიგით მეორეა „ალტ-ინფო“[17], რომლის 31 შემთხვევიდან 18 სექსიზმის/მიზოგინიის კატეგორიას მიეკუთვნებოდა. მას 9-9 დარღვევით მოსდევენ „საერთო გაზეთი“ და „მიხეილ უკრაინოლოგი“, რომელთაგან პირველი ყველაზე ხშირად გონებრივი შესაძლებლობების ნიშნით შეურაცხყოფდა/დასცინოდა ქალ პოლიტიკოსებს (3), ხოლო მეორე მორალური კრიტერიუმების ნიშნით (4). ქვემოთ დიაგრამაზე ნაჩვენებია დარღვევების სიხშირით პირველი რვა ანგარიშის მონაცემები დარღვევის კატეგორიების მიხედვით. ამ 8 ანგარიშს ჯამში 102 დარღვევა ჰქონდა. დანარჩენი 111 დარღვევა 64 ანგარიშის შემთხვევაში გამოვლინდა.

16 მონიტორინგის პერიოდში ამ ანგარიშს ჯერ ერქვა „გასამართლდეს ნაცმოძრაობა – სიმართლის გზა“, შემდეგ კი შეიცვალა სახელი და გახდა „სიმართლის გზა“.

17 ამჟამად „ალტ-ინფო“ ხელმისაწვდომი არ არის.

დიაგრამა 5.
დარღვევების ტიპოლოგია ფეისბუკ ანგარიშების მიხედვით



1.4. ადრესატები

დისკრიმინაციული და შეურაცხმყოფელი თავდასხმების ადრესატებს შორის ძირითადად პოლიტიკოსები არიან – მოქმედი პარლამენტარები, მაჟორიტარობის კანდიდატები, პარტიული სიის კანდიდატები, პოლიტიკური თანამდებობის პირები და ასევე, საარჩევნო კამპანიაში გაცხადებულად ჩართული აქტივისტები და პარტიის რამდენიმე აქტიური მხარდამჭერი. ჟურნალ „ტაბულას“ რედაქტორი თამარ ჩერგოლეიშვილი „ევროპული საქართველოს“ საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის გამო აღნიშნული პარტიის მონაცემებშია შეყვანილი. ადრესატებს შორის ასევე მოხვდნენ ბელარუსის ოპოზიციური პოლიტიკური ფლანგის ლიდერი ქალები, ესტონეთის პრეზიდენტი და აშშ-ის ელჩი საქართველოში.

როგორც ქვემოთ ჩამოთვლილი ცხრილიდან ჩანს, დისკრედიტაციის ყველაზე მეტი ადრესატი მმართველი პარტია „ქართული ოცნებიდან“ არის (7). მას მოსდევენ ადრესატები ოპოზიციური „ნაციონალური მოძრაობიდან“ (6) და „ევროპული საქართველოდან“ (5). 2-2 ქალია სამიზნე „პატრიოტთა ალიანსის“ და „ლელოს“ შემთხვევაში. სხვადასხვაში გაერთიანებულია სხვადასხვა პოლიტიკური კუთვნილების 6 ქალი.

ცხრილი 3.
თავდასხმის ადრესატების პოლიტიკური კუთვნილება

ქართული ოცნება	ნაციონალური მოძრაობა	ევროპული საქართველო	პატრიოტთა ალიანსი	ლელო	სხვადასხვა
1. **სალომე ზურაბიშვილი** საქართველოს პრეზიდენტი	1. **თინა ბოკუჩავა**	1. **ელენე ხოშტარია**	1. **ირმა ინაშვილი**	1. **სესილი ჭითანავა**	1. **თაკო ჩარკვიანი** „კანონი და სამართალი“
2. **თეა წულუკიანი** იუსტიციის ყოფილი მინისტრი	2. **სალომე სამადაშვილი**	2. **ხათუნა გოგორიშვილი**	2. **თამარ კოდოშვილი**	2. **თამარ ბელქანია**	2. **ნინო ბურჯანაძე** „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“
3. **ეკატერინე ტიკარაძე** ჯანდაცვის მინისტრი	3. **ხატია დეკანოიძე**	3. **ირმა ნადირაშვილი**			3. **ანა დოლიძე** „მოძრაობა ხალხისთვის“
4. **სოფო კილაძე** პარლამენტი ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე	4. **ნანუკა ჟორჟოლიანი**	4. **ნინო გოგუაძე**			4. **ეკა ბესელია** „სამართლიანობისთვის“
5. **მაია ცქიტიშვილი** რეგიონული განვითარების მინისტრი	5. **მეგი გოცირიძე**	5. **თამარ ჩერგოლეიშვილი**			5. **ხათუნა სამნიძე** რესპუბლიკური პარტია
6. **გუგული მაღრაძე** პარლამენტის წევრი	6. **სანდრა რულოვსი**				6. **ცირა ჯავახიშვილი** „ქართული მარში“
7. **რიმა ბერაძე** თბილისის საკრებულოს წევრი					

თუმცა, დარღვევების რაოდენობის მიხედვით, სექსისტური თავდასხმების ყველაზე ხშირი ადრესატები, პარტიულ ჭრილში, „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენლები არიან (60 შემთხვევა). მათ მოსდევს „ნაციონალური მოძრაობა“ (56) და „ქართული ოცნება“ (27). პარტია „სამართლიანობისთვის“ დამფუძნებელი ეკა ბესელია 18-ჯერ გახდა სამიზნე, ხოლო „კანონი და სამართალის“ დამფუძნებელი თაკო ჩარკვიანი 9-ჯერ. მათ მოსდევს „ლელო“ (4), „მოძრაობა ხალხისთვის“ და „პატრიოტთა ალიანსი“ (3-3), „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო“ და „რესპუბლიკური პარტია“ (2-2). „ქართული მარში“ კი მხოლოდ ერთხელ გახდა სექსისტური სიძულვილის ენის სამიზნე.

დიაგრამა 6.
ადრესატების პოლიტიკური კუთვნილება დარღვევების რაოდენობის მიხედვით (%)



კონკრეტული ადრესატების მიხედვით კი, სექსისტური სიძულვილის ენის და გენდერული სტერეოტიპიზაციის ყველაზე ხშირი სამიზნე „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენლები არიან: პარლამენტარი და პარტიის მაჟორიტარობის კანდიდატი ელენე ხოშტარია (26 შემთხვევა და 16%) და საარჩევნო კამპანიის აქტივისტი თამარ ჩერგოლეიშვილი (22; 13%). თავდასხმების სიხშირით მესამე ადრესატია პარლამენტარი და პარტია „სამართლიანობისთვის“ დამფუძნებელი ეკა ბესელია (18; 11%), რომელსაც ერთით ჩამორჩება „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატი ნანუკა ჟორჟოლიანი (17; 10%). ხელისუფლების მხრიდან ყველაზე ხშირი სამიზნე საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილია (14; 9%). ქვემოთ დიაგრამაზე მოცემულია თავდასხმების რაოდენობრივი მონაცემები ადრესატების მიხედვით

დიაგრამა 7.
დარღვევების რაოდენობა ადრესატების მიხედვით



რაც შეეხება დარღვევების კატეგორიებს კონკრეტული ადრესატების მიხედვით, ელენე ხოშტარიას ყველაზე ხშირად მორალური კრიტერიუმებით ესხმოდნენ თავს (11), ხოლო თამარ ჩერგოლეიშვილს გენდერული სტერეოტიპების საფუძველზე კიცხავდნენ (16). ეკა ბესელიაზე თავდასხმის 18 შემთხვევიდან 17 მორალური კრიტერიუმების ნიშნით მოხდა. ნანუკა ჟორჟოლიანს უმეტესად შეურაცხყოფდნენ გონებრივი შესაძლებლობების ნიშნით (9). გონებრივი შესაძლებლობების ნიშნით შეურაცხყოფა ჭარბობს ასევე სალომე ზურაბიშვილის შემთხვევაში (6). ქვემოთ ცხრილში მოცემულია დარღვევების ტიპოლოგია ადრესატების მიხედვით. სხვადასხვაში გაერთიანებულია ის პოლიტიკოსები, რომელთა მიმართაც მონიტორინგის პერიოდში 3-ზე ნაკლები შეურაცხყოფის შემთხვევა გამოვლინდა, და ასევე სექსიზმის და სტერეოტიპიზაციის ისეთი შემთხვევები, რომელთაც კონკრეტული ადრესატი არ ჰყავდა და ზოგადად ქალების წინააღმდეგ იყო მიმართული.

ცხრილი 4.
დარღვევების ტიპოლოგია ადრესატების მიხედვით

ადრესატები	მორალური კრიტერიუმებით თავდასხმა	გენდერული სტერეოტიპებით გაკიცხვა	გონებრივი შესაძლებლობების ნიშნით შეურაცხყოფა / დაცინვა	გარეგნული მახასიათებლების ნიშნით შეურაცხყოფა / დაცინვა	სექსიზმი / მიზოგინია	ეიჯიზმი	ჯამი
ელენე ხოშტარია	11	7	5	3			26
თამარ ჩერგოლეიშვილი	1	16		3	1	1	22
ეკა ბესელია	17	1					18
ნანუკა ჟორჟოლიანი	4	2	9	2			17
სალომე ზურაბიშვილი	4		6	4			14
თინა ბოკუჩავა	5	1	1	4			11
სალომე სამადაშვილი	2	2		5	1		10
თაკო ჩარკვიანი	2	3	3	1			9
ხატია დეკანოიძე	6	1	2				9
მეგი გოცირიძე	2			4			6
ხათუნა გოგორიშვილი				4		2	6
ნინო გოგუაძე			1	2	1		4
ანა დოლიძე	2			1			3
თეა წულუკიანი		1		2			3
სანდრა რულოვსი	2	1					3
სესილი ჭითანავა	3						3
სხვადასხვა	20	17	9	10	24	1	81

1.5. ტერმინოლოგია

მონიტორინგის პერიოდში ქალების მიმართ გამოყენებული შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგია ნორმატიულ ლექსიკასა და უხამსობას შორის მერყეობდა. ნორმატიული ლექსიკა სექსისტური კონოტაციით გამოიყენებოდა (მაგალითად, „გოგონები“ ან „ბებო“ ასაკის ნიშნით შეურაცხყოფისთვის).

ამ ტერმინოლოგიის ადრესატებს შორის ამ შემთხვევაშიც „ევროპული საქართველოს“ მაჟორიტარობის კანდიდატი ელენე ხოშტარია ლიდერობდა (40 შემთხვევა და 25%). მას ოდნავ ჩამორჩებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი კანდიდატი ნანუკა ჟორჟოლიანი (34; 21%), რომელსაც ამავე პარტიის კიდევ ერთი მაჟორიტარობის კანდიდატი ხატია დეკანოიძე მოსდევდა (25, 16%). „ევროპული საქართველოს“ საარჩევნო კამპანიის აქტიური წევრის თამარ ჩერგოლეიშვილი მიმართ შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენების 20 შემთხვევა (12%) გამოვლინდა. მას მოსდევს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი სალომე სამადაშვილი (13; 8%) და „ევროპული საქართველოს“ წევრი ხათუნა გოგორიშვილი (8; 5%). ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევების რაოდენობრივი განაწილება ადრესატების მიხედვით. დიაგრამაში არ მოხვდნენ ის ადრესატები, რომელთა მიმართაც ასეთი ტერმინების გამოყენების 4-ზე ნაკლები შემთხვევა გამოვლინდა.

დიაგრამა 10.
შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენება ადრესატების მიხედვით



ერთისა და იმავე შეურაცხმყოფელი სიტყვის ხშირად გამეორების შემთხვევები მონიტორინგის გზით შეგროვილ მასალაში ბევრი არ არის. უფრო ხშირია სიტყვის სხვადასხვა სიტყვათშეთანხმებით გამოყენება, ან სინონიმები. მაგალითად, სიტყვა „ძუკნა“ ცალკე აღებული ერთხელ არის გამოყენებული, სამაგიეროდ გვხვდება ასეთი ვარიაციები: „ბერწი ძუკნა“, „ძუკნა ქალი“, „ჰოლანდიელი ძუკნა“; ანდა სიტყვა „კახპა“ დამოუკიდებლად ერთხელ არის გამოყენებული, თუმცა გვხვდება ასეთი სიტყვათშეთანხმებები: „სოროსის კახპა,“ „დამფუძნებელი კახპა“, „სულით და ხორცით კახპა ქალი“; „დიასახლისის“ შემთხვევაში კი „სასოწარკვეთილი დიასახლისი“, „დიასახლისი მანდილოსანი“.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია მონიტორინგის პერიოდში გამოვლენილი დისკრიმინაციული/შეურაცხმყოფელი სიტყვები და ფრაზები დარღვევის ტიპოლოგიის მიხედვით.

ცხრილი 8.
დისკრიმინაციული / შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგია დარღვევები ტიპოლოგიის მიხედვით

დარღვევის ტიპოლოგია	ტერმინოლოგია
მორალური კრიტერიუმების მიხედვით თავდასხმა	ბოზები, გამყიდველი, დამფუძნებელი კახპა, კახპები, სოროსის კახპა, სულით და ხორცით კახპა ქალი, ბონძღები, კამსამოლკა, გავრილოვის ნასედკა, გაურკვეველი ორიენტაციის მქონე, გიმო დამთავრებული, პრორუსული ძალის მქონე პოლიტიკოსი, ქვეყნისთვის საშიში, გოგოშკები, გაქანებული ლიბერასტი, ლგბტ ლობისტი, ბერწი ძუკნა, ძუკნა ქალი, ჰოლანდიელი ძუკნა, ქალი-ტაიფუნი, შეურაცხადი ქალები, თახსირი, იმნაირი, მაჟორკა, ნაბოზარი, არაქალი, ნაძირალა, ტუტუცი, შხუილას ერთ-ერთი ქალი, ჯალათი, არაქალი ნაგავი, მონა ქალი, „წმინდანი“, ზნეობისგან გამოცლილი, კუსკუსელა, ნაცების ქალი, სტაჟიანი ლეზბიანკა, ბადრი ესებუას ქალები, ანდროიდი, ინკუბატორში გამოყვანილი, ნამუსგარეცხილი, სატანა, სერიული, უსულო, შხუილას ქალი უკრაინაში.

დარღვევის ტიპოლოგია	ტერმინოლოგია
გარეგნული მახასიათებლების ნიშნით დაცინვა / შეურაცხყოფა	ჟოლუსკები, ტროიკა, ფერიები, აჟიტირებული ქალის ისტერიკა, მახინჯი, გრძელკისერა, მახინჯები, გემრიელი ლუკმა, ულამაზესი ლუკმა, დასაბანი, დიდთავა კამეჩი, უშნო გველი, გოგო, დაგორავს, ქაჯეთის დედოფალი, პელენწუკა, დასჩხავლა ყვავივით, ყვავი, ამ ვიდით რამდენს ბედავ!! შე საცოდაო, ზეზვას შთამომავალი, შრეკის გარე ბიძაშვილი, გოიმბაში, საფრთხობელა.
გენდერული სტერეოტიპების საფუძველზე	დიასახლისი, სასოწარკვეთილი დიასახლისი, ნაგიჟარი, ქაჯი, ჩაცუცქულები, ქალბიჭა, ქუჩაში „სვისტოკით“ მორბენალი ქალი, შვიშტოკა, ლამაზ-ლამაზი ტრაკუცუნა ქალბატონები, ტუჩებდაბერილი სომეხი ქალბატონი ლამაზმანი, ქალწულის სიწმინდე, ვერელი ფლამინგო, ტაკოია, კაცურად, ერთ-ერთი ლიდერის ცოლი, ფსიხიკური სიცილი, რაღაჩნაირი სათნოური, ქალური, ქალაჩუნა, დედაკაცები, ჩვენი რძალი, არაპოლიტიკური მანდილოსანი, დიასახლისი მანდილოსანი, სუსტი ქალი, უსახური, პლასტიკური.
სექსიზმი/მიზოგინია	„გმირი ქალები“, „ფუსი რაიოტი“, ფუჩუ, კვოტირებული იდიოტები, მდედრიონი, ფუჩუ ფემინოზავრები, „სოროსის სბროდი“, ფუჩუ ფემინოზავრები, მდედრიონი, ფემინისტები, ერთ-ერთი ლიდერის ცოლი.
გონებრივი შესაძლებლობების ნიშნით დაცინვა	პრიალა და უნაოჭო ტვინი, ოროსანი, დებილი, აბსოლუტური ჩლუნგი, გაუნათლებელი, გიჟუა ქალი, ჩლუნგი, ჩლუნგი არსება, დეგენერატი, იდიოტკა, დებილკა, შტერი.
ეიჯიზმი	ბებერი ჯორი, ბებო, ეგზემპლარი, კლიმაქსიანი დედაკაცი, ყვავი, გოგონები.

II. თვისებრივი ანალიზი

საანგარიშო პერიოდში (4 აგვისტო – 4 ნოემბერი) მონიტორინგის გზით გამოვლენილი მასალის თვისებრივმა ანალიზმა აჩვენა, რომ ყველაზე ხშირად ქალი პოლიტიკოსები მორალური კრიტერიუმებით თავდასხმების სამიზნეები ხდებიან (68 შემთხვევა; 31.9%). ქალებს ასევე ხშირად კიცხავენ გენდერის შესახებ სტერეოტიპული წარმოდგენების საფუძველზე (44; 20.7%). დარღვევების მომდევნო ორი მსხვილი კატეგორიაა პოლიტიკოსი ქალების შეურაცხყოფა/დაცინვა გარეგნული მახასიათებლების და გონებრივი შესაძლებლობების ნიშნით (38-38; 17.8%-17.8%). ასევე გავრცელებულია პოლიტიკოსი ქალების დაკნინება ზოგადად ქალების მიმართ სიძულვილის გამოხატვის გზით, რომელიც სექსიზმის/მიზოგიინის კატეგორიაში ხვდება (20; 9.4%). ყველაზე ნაკლები სიხშირით პოლიტიკოს ქალებს ასაკის ნიშნით შეურაცხყოფენ (ეიჯიზმის – 5; 2.4%).

2.1. მორალური კრიტერიუმებით თავდასხმა

დარღვევის კატეგორიებიდან მორალური კრიტერიუმებით თავდასხმა ყველაზე მსხვილი კატეგორიაა. მონიტორინგმა 68 ასეთი შემთხვევა გამოავლინა. ამ ტიპის თავდასხმების მიზანია ადრესატების შერცხვენა, დისკრედიტაცია, მათი რეპუტაციის შელახვა მორალური კრიტერიუმების თუ ზნეობრივი ღირებულებების ნიშნით. მონიტორინგის პერიოდში ამ ტიპის კამპანიური თავდასხმის სამიზნეები ელენე ხოშტარია და ეკა ბესელია იყვნენ, რომელთა შემთხვევებიც ცალკე 3.1. და 3.2. ქვეთავებშია განხილული.

ამ კატეგორიაში შემდეგი შემთხვევები გამოვლინდა:

შანტაჟის და მუქარის შემთხვევა. შანტაჟის და მუქარის შესახებ ინფორმაცია პარტია „ლელოს“ ზუგდიდის ოფისმა გაავრცელა. ფეისბუკ გვერდზე **„ლელო ზუგდიდი[18]“** გამოქვეყნდა სქრინშტოტები, რომლებზეც სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის უფროსი ლაშა გვასალიას და ასევე, ფეისბუკ გვერდის „საქართველო უპირველეს ყოვლისა“ მიმოწერაა ასახული. აღნიშნული მიმოწერა შეიცავს შეურაცხმყოფელ ტექსტს და პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გამოქვეყნების მუქარას „ლელოს“ ზუგდიდის ორგანიზაციის ახალგაზრდული ფრთის წევრების მიმართ:

[18] არქივის ბმული: https://archive.ph/nT3N0





მორალური პრიტერიუმებით შერცხვენისთვის ფოტო მასალის გამოყენება. ხელისუფლების ოპონენტების მადისკრედიტირებელმა ფეისბუკ გვერდმა **„რეჟიმი გიყურებს“** გამოაქვეყნა ფოტო, რომელზეც საპატრულო პოლიციის მანქანაზე გადაწოლილი ადამიანი ზურგიდან საჯდომით ჩანს. ფეისბუკ გვერდი აუდიტორიას სთხოვს, ამოიცნონ, თუ რომელი პოლიტიკოსია ასახული ფოტოზე და ჩამონათვალში ოპოზიციის წევრების გვარებს უთითებს. ეს პოსტი დღეისათვის წაშლილია.

რეჟიმი გიყურებს, 17 აგვისტო: „გამოიცანით რომელი ქართველი პოლიტიკოსია: თინა ბოკუჩავა, სალომე სამადაშვილი, შალვა ნათელაშვილი“

სლატშეიმინგი. მორალური კრიტერიუმებით ადრესატის შერცხვენისთვის ხშირად გამოიყენება სექსისტური სიძულვილის ენის ერთ-ერთი ფორმა – სლატშეიმინგი, რაც სიტყვა-სიტყვით „ბოზობით შერცხვენას“ ნიშნავს და გულისხმობს ადამიანების, უმეტესად, ქალების და გოგოების კრიტიკას იმის გამო, რომ მათი ქცევა, გარეგნობა თუ ჩაცმულობა სექსუალობასთან დაკავშირებით საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ გენდერულ ნორმებს და წარმოდგენებს არ შეესაბამება.[19]

სლატშეიმინგი გამოვლინდა „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატის ნანუკა ჟორჟოლიანის წინააღმდეგ ერთი მხრივ რეზო ამაშუკელის მხრიდან, რაც ფეისბუკ ანგარიშის **iNews**[20]-მა გამოაქვყნა და მეორე მხრივ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლის **სოფიკო კიკაჩეიშვილის**[21] მხრიდან:



iNews, რეზო ამაშუკელი, 4 ოქტომბერი: „ნანუკა, ერთი შეკითხვა მაქვს, დროს რო არ კარგავ და ნიფხავი არ გაცვია საერთოდ, პარლამენტში რო შეხვალ, იქ ტრიკო გეცმება?“

სოფიკო კიკაჩეიშვილი, სამტრედიის რაიონის სოფელ მელაურის გამგებელი: 27 ოქტომბერი: „ნანუკია ნაბოზარო, სადმე არ შემხვდე, დავაი სამტრედიიდან, კახპა, ძუკნა ქალოოოოო[22]“.

„ვინმეს ქალი“. პოლიტიკის სფეროში სლატშეიმინგის გამოყენების საფუძველი სტერეოტიპული და დისკრიმინაციული შეხედულებაა პოლიტიკაში ქალის ადგილის შესახებ. ამ შეხედულების თანახმად, პოლიტიკა არ არის ქალის საქმე, რადგან მას არა აქვს სათანადო უნარები და თუ ქალი ამ სფეროში საქმიანობს, ის კაცი პოლიტიკოსის პროტეჟეა. „პროტეჟეს“ ქვეშ პოლიტიკოსი კაცის ნათესავი, ახლობელი, ნაცნობი ან, უმეტეს შემთხვევაში, საყვარელი იგულისხმება. ასეთი სტერეოტიპული შეხედულებების საფუძველზე შეიმუშავა „საფარმა“ სლატშეიმინგის ქართული რეალობისთვის დამახასიათებელი ინდიკატორი „ვინმეს ქალი“, რომელიც ნიშნავს „კაცი პოლიტიკოსის საკუთრებად ქალი პოლიტიკოსის ნებისმიერი ფორმით მოხსენიებას“.

19 „სლატშეიმინგი“ (slut-shaming) გულისხმობს ადამიანების, უმეტესად, ქალების და გოგოების კრიტიკას იმის გამო, რომ მათი ქცევა, გარეგნობა თუ ჩაცმულობა არ შეესაბამება სექსუალობასთან დაკავშირებით საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ გენდერულ ნორმებს და წარმოდგენებს. ასეთ ქცევად თუ გარეგნობად მიიჩნევა, მაგალითად, სექსუალური, პროვოკაციული ჩაცმულობა, კონტრაცეპციის ხელმისაწვდომობის მოთხოვნა, ქორწინებამდელი სექსი ან შემთხვევითი სექსი. სლატშეიმინგი ასევე ხშირად გულისხმობს სექსუალური ძალადობის მსხვერპლის მთლიანად ან ნაწილობრივ დადანაშაულებას მისი ქცევითა თუ ჩაცმულობით ამ ძალადობის პროვოცირებაში. სლატშეიმინგი გამოიყენება ქალების შერცხვენის, სტიგმატიზების მიზნით.

20 არქივის ბმული: https://archive.ph/LZ08j

21 https://www.facebook.com/profile.php?id=100009009964984

22 არქივის ბმული: https://archive.ph/e3Gmq

ფეისბუკ ანგარიში **„სოფია სოფია“**[23] სწორედ სექსისტური ენის ამ ფორმას იყენებს „ნაციონალური მოძრაობის“ ქალი კანდიდატების ხატია დეკანოიძის და სალომე სამადაშვილის და ასევე „რესპუბლიკური პარტიის“ ლიდერის ხათუნა სამნიძის მისამართით ჯგუფში „საჯარო გზა“ 9 ოქტომბერს გამოქვეყნებულ პოსტში:



სოფო სოფო „სიმართლის გზა“, 9 ოქტომბერი: „ნაცების, სიის დახსიათება... სათითაოდ დავახასითებ...

5) ხატია დეკანოიძე, შხუილას, ქალი უკრაინაში, ვითომ რეფორმები გაატარა მაგრამ გამოაგდეს დასცინიან და სულელად მოიხსენიებენ....
6) სალომე სამადაშვილი, ნაცების ჩვეული მონა ქალი გახარიას, 20ივნის თითს უტრიალებდა ნაძირალა არაქალი ნაგავი....
8) ხათუნა სამნიძე ვერ გაურკვევია ქალი არის თუ ვინ ნაცების, ქალი მაგრამ რანაირად ვინ იცის....“

„ვინმეს ქალი“ და დისკრედიტაცია ვონეგრივი ნიშნით. ანალოგიური სექსისტური სიძულვილის ენაა გამოყენებული ხელისუფლების ოპონენტების მადისკრედიტირებელ ჯგუფში **„სიმართლის გზა**[24]**“** გაზიარებულ პოსტში. აქ წინა ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილ მოადგილეს ნინო კალანდაძეს დამატებით გონებრივი შესაძლებლობების ნიშნითაც აყენებენ შეურაცხყოფას. შესაბამისად, ეს შემთხვევა ორ კატეგორიაშია აღრიცხული.

[23] არქივის ბმული: https://archive.ph/t1cwG
[24] არქივის ბმული: https://archive.ph/g2h3h



სოფო სოფო „სიმართლის გზა“, 12 ოქტომბერი: „ნინო კალანდაძე, 11.03.1977წ, დაიბადა თბილიში შხუილას, ერთ ერთი ქალი ამ იდიოტკამ დავით გარეჯი, საქართველო არ არისო. საგარეოში მუშაობდა არ გადავიწყდეთ. ეს გაუნათლებელი ტუტუცი ქალი. შხუილას, მეტი ვინ ეყოლებოდა ტუტუცი უტიფარი, დეგენერატი ქალები შენც ისეთივე ჯალათი!! და ნაძირალა არაქალი, ხარ ნაგავო ჯალათო!!!

სიძულვილის ენა. ხელისუფლების ოპონენტების მადისკრედიტირებელ ფეისბუკ ჯგუფში **„დავასრულოთ ნაცები!!! – „სიმართლის გზა“**[25] მომხმარებელმა გაგზიარა სანდრა რულოვსის საარჩევნო პლაკატი, როდესაც ის 2019 წელს ზუგდიდის მერობის კანდიდატად იყრიდა კენჭს. გაზიარებისას, ფეისბუკ მომხმარებელი რულოვსის მიმართ, როგორც შეურაცხმყოფელ ლექსიკას, ასევე სიძულვილის ენასაც იყენებს.

[25] მონიტორინგის პერიოდში ამ ფეისბუკ გვერდის სახელმა ცვლილება განიცადა და გახდა „სიმართლის გზა“. შესაბამისად, „დავასრულოთ ნაცები!!! – „სიმართლის გზა“ და „სიმართლის გზა“ ერთად არის რაოდენობრივ მონაცემებში აღრიცხული.

დავასრულოთ ნაცები!!! – „სიმართლის გზა", ანა ჭანკოტაძე, 14 სექტემბერი: „როგორია ეს ჰოლანდიელი ძუკნა. არ გვჭირდება უცხოელი კარგადა ვართ უმაგენოდ."

სტატუსის ქვეშ კომენტარებში სანდრა რულოვსს ეძახიან ჰოლანდიურ ძროხას; ბოზს; ბრუციან ყასაბს; უნამუსო ძროხას; სუკის სუკა გნიდას; ამსტერდამის საროსკიპოდან გამოქცეულს; პირუტყვ დედაკაცს; ბოზბანდის მეთაურს და ასე შემდეგ.

პრინციპულობის ნაკლებობა. ქალ პოლიტიკოსებს ანგარებიან, სარგებლის მიღების ან გამორჩენის მაძიებელ ადამიანებადაც წარმოაჩენენ. „პატრიოტთა ალინასთან" დაკავშირებულ გვერდს **„პოლიტიკოსები 1 ლარიდან"**, ატვირთული აქვს ვიდეორგოლი. ვიდეორგოლში ცეკვავს და მღერის ახალგაზრდა ქალი, რომელიც ძალიან ჰგავს პარტია „კანონი და სამართალის" დამფუძნებელს თაკო ჩარკვიანს. ვიდეოს აქვს მინაწერი:

პოლიტიკოსები 1 ლარიდან, 14 აგვისტო: „ვერ ნახა სარგებელი პოლიტიკაში და მუსიკაში წავიდა თაკო ჩარკვიანი".

უხამსი შარჟი. მონიტორინგის პერიოდში დარღვევის ამ კატეგორიაში ხელისუფლების წარმომადგენლების შეურაცხყოფის ორი შემთხვევა გამოვლინდა. ერთი ფოტოშოპით დამუშავებული უხამსი შარჟია, რომელშიც პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, პარლამენტარი სოფო კილაძე, და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი მაია ცქიტიშვილი სხედან ანტიკვარული ნივთებით მორთულ ოთახში და გია ვოლსკის და თეიმურაზ გორჯესტანს შემოაქვთ ფალოსის ქანდაკება. ეს ფოტო ხელი-

სუფლების მადისკრედიტირებელმა გვერდმა **„ქოცების დასაცინმა ოფიციალურმა სააგენტომ“** გაავრცელა.

ქოცების დასაცინი ოფიციალური სააგენტო, 3 სექტემბერი: „მადამ სალომეს ახალი საჩუქარი“.

ფოტოგანიკულაციები. ხელისუფლების მადისკრედიტირებელმა იმავე გვერდმა **„ქოცების დასაცინმა სააგენტომ“** გამოაქვეყნა ჯანდაცვის მინისტრის ეკატერინე ტიკარაძის ფოტოშოპით დამუშავებული ფოტო წარწერით „გრუზინკა, კამსამოლკა, სპარტსმენკა, დანტისტკა“.



ხელისუფლების მადისკრედიტირებელმა ანგარიშმა **„ექვთიმე ბიძინაშვილი“** ატვირთა მონიკა ბელუჩის კადრი ფილმიდან „მალენა“, რომელშიც „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერის ირმა ინაშვილის სახეა ჩასმულია, მინაწერით „მოდი აქაااااااა“.

ექვთიმე თაყაიშვილი, 26 აგვისტო: „მოდი აქاااااااا“.

2.2. გენდერული სტერეოტიპებით გაკიცხვა

გენდერული სტერეოტიპებით გაკიცხვა დარღვევის სიდიდით მეორე კატეგორია. მონიტორინგის პერიოდში (4 აგვისტო – 4 ნოემბერი) ამ ტიპის 44 შემთხვევა გამოვლინდა. ეს კატეგორია აერთიანებს სექსიზმის ყველა იმ ფორმას, რომელსაც გენდერული სტერეოტიპები ქალის ფუნქციის, როლების, ქცევის, მოვალეობის თუ პროფესიების შესახებ კვებავს. გამოვლენილი შემთხვევების სიმრავლე კი იმის მაჩვენებელია, თუ რამდენად ღრმად არის საზოგადოებაში ასეთი სტერეოტიპული წარმოდგენები კვლავ გამჯდარი.

ქალ პოლიტიკოსებს ძალიან ხშირად სტერეოტიპულად „არაქალური“ ქცევის გამო კიცხავენ. ამ ტიპის თავდასხმების ხშირი სამიზნეა „ევროპული საქართველოს“ წევრი ელენე ხოშტარია. მას, ხშირად, „არაქალური“ ქცევისთვის „ქალბიჭას“ უწოდებენ, ასევე, „შვიშტოკას“, რადგან ის, ხშირად საპროტესტო აქციებში სასტვენით მონაწილეობს.

ხელისუფლების ოპონენტების მადისკრედიტირებელ ფეისბუკ ჯგუფში **„სიმართლის გზა“** გაზიარებულ პოსტში ელენე ხოშტარია ორივე ეპითეტით არის მოხსენიებული.

სოფო სოფო, დავასრულოთ ნაცები!!! – „სიმართლის გზა", 26 აგვისტო: „შვიშტოკა, შენ ვის რას პირ-დები ქალბიჭა, წადი სახლში დაყვინთე... 🙂 🙂 🙂"

ანტილიბერალურ ჯგუფებთან დაკავშირებულმა ფეისბუკ გვერდმა **Geo Pepe** კი „დეილი მეილის" ნიუსის სქრინი გააზიარა, რომელზეც ქუსლიან ფეხსაცმელსა და მოკლე კაბაში გამოწყობილი მამაკაცია გამოსა-ხულია. ფოტოზე ქართული მინაწერი – „პარტია ევროპული საქართველოს მაჟორიტარობის კანდიდატი ვაკეში" – ხოშტარიას მამაკაცურ გარეგნობაზე მინიშნებას ისახავს მიზნად. ეს პოსტი ამჟამად წაშლილია.

Geo Pepe, 19 ოქტომბერი: „პარტია ევროპული საქართველოს მაჟორიტარობის კანდიდატი ვაკეში".

ხელისუფლების ოპონენტების მადისკრედიტირებელი გვერდი **„ქვეყნის მტრები“** თამარ ჩერგოლეიშვილს სტერეოტიპულად შეუფერებელი ქცევის გამო დასცინის. „კაცური“ ქცევის ხაზგასასმელად ეს გვერდი სხვა ხერხსაც მიმართავს. კერძოდ, ჩერგოლეიშვილის სახელს კაცის სახელით ანაცვლებს, ხოლო მამის სახელით მოხსენიებისას, კაცის მიმართ გამოყენებულ ფორმას იყენებს – „ძე“.



ქვეყნის მტრები, 30 სექტემბერი: „ბორის ჯოტოს ძე ჩერგოლეიშვილი“.

მონიტორინგის პერიოდში ასეთი „შეფარული“ გენდერული დისკრიმინაციის სხვა მაგალითიც შეგვხვდა. ხელისუფლების ოპონენტების მადისკრედიტირებელი გვერდის „ქვეყნის მტრების“ ერთ-ერთ **პოსტში** „ნაციონალური მოძრაობის“ წევრ სალომე სამადაშვილს მამის სახელით მიმართავენ, რა დროსაც რუსულ ყაიდაზე კაცისადმი მიმართვის ფორმას იყენებენ – „ნესტორიჩ“.

ქვეყნის მტრები, 4 ნოემბერი: „სამადაშვილს კორონა დაუდასტურდა არაუშავს ნესტორიჩ, შენმა პრეზიდენტმა ხო გითხრა კორონა არაფერიაო, ისე გადავიტანე არც გამიგიაო“.

სოციალურ მედიაში ქალ პოლიტიკოსებს ხშირად ოჯახში ქალის და კაცის გენდერულ როლებსა და ქალის ადგილზე პატრიარქალური წარმოდგენებთან შეუსაბამობის გამო აკრიტიკებდნენ. ამ კუთხით გაკიცხვის ხშირი სამიზნეა თამარ ჩერგოლეიშვილი, რომელიც ოფიციალურად იყო ჩართული მისი ქმრის, „ევროპული საქართველოს“ მაჟორიტარობის კანდიდატის გიგა ბოკერიას საარჩევნო კამპანიაში. ეს მეტწილად შეესაბამება „საფარის“ მიერ შემუშავებულ სექსისტური სიძულვილის ენის ფორმას „სიძულვილის ვარიაციები ჰეტერონორმატიული ოჯახის გამოყენებით.“

ხელისუფლების ოპონენტების მადისკრედიტირებელი გვერდი „ტერენტი გლდანელი“ აქვეყნებს კადრს ვიდეოდან მინაწერით „ქმრის დაჩმორება“:

ტერენტი გლდანელი, 6 სექტემბერი: „მომენტი როცა ცოლი გაჩმორებს“.

ოჯახში ქალის როლისა და ფუნქციის შესახებ სტერეოტიპული წარმოდგენები ასევე ხდება ქალი პოლიტიკოსების ოჯახის წევრების გამო გაკიცხვის მიზეზიც.

„ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებულ ფეისბუკ ჯგუფში „სიმართლის გზა“ მომხმარებელმა გააზიარა მემე, რომელზეც ლეონის და მატილდას პოსტერში ჩასმულია პარტია „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერის გიორგი ვაშაძის და „კანონი და სამართალის“ დამფუძნებლის თაკო ჩარკვიანის სახეები. სტატუსში ჩარკვიანს საყვედურობენ ძმის გამო, კიცხავენ დამოუკიდებელი აქტიურობისთვის და კალამბურით „თაკო-ტაკო“ მის რეპუტაციას ეჭვქვეშ აყენებენ.

სოფო სოფო, დავასრულოთ ნაცები!!! „სიმართლის გზა“, 22 აგვისტო: „ლეონი, და მატილდას, ქართული ვარიანტი აღმშენებლები... ☺ ☺ ვაშაძე, ჯერ ძმისთვის მიგეხედა კრუგზე რომ დადის. ტაკოია, ოჯახმა იცის სად ხარ... ☺ ☺ ☺“

ამ კატეგორიაში გამოვლინდა ასევე პოზიტიური სექსიზმის შემთხვევა, რომელიც გენდერულ სტერეოტიპებს უკავშირდება. პოზიტიური სექსიზმი გულისხმობს ნებისმიერ ისეთ შეფასებას, რომელიც თითქოსდა პოზიტიურია შემფასებლის ხედვით, მაგრამ სინამდვილეში აზიანებს გენდერულ თანასწორობას. საანგარიშო პერიოდში პოზიტიური სექსიზმის 2 მაგალითი გამოვლინდა. ერთ-ერთი ამ კატეგორიაში მოხვდა, მეორე კი გარეგნული მახასიათებლების ნიშნით შეურაცხყოფა/დაცინვის კატეგორიაში.

„პატრიოტთა ალიანსთან“ დაკავშირებულმა გვერდმა **BS Info** გამოაქვეყნა პოსტი „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერზე ირმა ინაშვილზე, რომელშიც პოსტის ავტორი, დავით ოქიტაშვილი, ინაშვილს საქმეზე ორიენტირებულობას აქებს, როგორც ქალისთვის უჩვეულო მახასიათებელს:

დავით ოქიტაშვილი, 20 აგვისტო: „მტკივა აფხაზეთი, მიყვარს აფხაზეთი და მინდა აფხაზეთში და ვინც ამ საქმეს დაძრავს მის გვერდით ვიქნები, განსაკუთრებით თუ ეს ადამიანი ქალია, რომელიც ყოველთვის იყო საწყისი დიდი ცვლილებებისა, ქალი, რომელიც არა იმიჯზე, არამედ საქმეზეა ორიენტირებული, ქალი, რომელმაც სიცოცხლის რისკის ფასად დაძრა ეს საქმე“.

2.3. გარეგნული მახასიათებლების ნიშნით შეურაცხყოფა / დაცინვა

საანგარიშო პერიოდში გარეგნული მახასიათებლების ნიშნით შეურაცხყოფის 38 შემთხვევა გამოვლინდა. გარეგნული მახასიათებლების ნიშნით თავდასხმების არცთუ მცირე რაოდენობა შეიძლება აიხსნას

სტერეოტიპული შეხედულებით, რომ ქალის უმთავრესი ღირსება მისი გარეგნობაა და შესაბამისად, ქალს ყველაზე მეტად საკუთარი გარეგნობა აღელვებს. ქალებს დასცინოდნენ და შეურაცხყოფას აყენებდნენ გარეგნობის, სხეულის, საუბრის მანერის, ჩაცმულობის თუ ჰიგიენის ნიადაგზე.

გარეგნული მახასიათებლების ნიშნით ქალების მიმართ სიძულვილს გამოხატავენ ტექსტით (სტატუსებით), ფოტო და ვიდეომასალით (მადისკრედიტირებელი თუ მანიპულაციური), კარიკატურებით, მემებით.

ხელისუფლების ოპონენტების მადისკრედიტირებელ ფეისბუკ ჯგუფში **„გასამართლდეს ნაციონალური მოძრაობა“** ფეისბუკ მომხმარებელმა გააზიარა ფოტოკოლაჟი, რომლის ერთ მხარეს ჩანს ტაილანდელი ქალი ყელის დასაგრძელებელი სპეციალური რგოლებით, ხოლო მეორე მხარეს გამოსახულია ენმ-ის წევრი თინა ბოკუჩავა, რომლის კისერი ფოტოშოპით არის წაგრძელებული, ხოლო ყურები წაწვეტებული.



ხელისუფლების ოპონენტების მადისკრედიტირებელ ფეისბუკ ჯგუფში **„სიმართლის გზა“** მომხმარებელი „სოფია სოფია“ აზიარებს ფოტოშოპში დამუშავებულ ევროპული საქართველოს წევრის ხათუნა გოგორიშვილის საარჩევნო პლაკატს, სადაც მას ეშმაკის რქები აქვს თავზე დადგმული, შემდეგი წარწერით:

დავასრულოთ ნაცები!!! – „სიმართლის გზა“, სოფო სოფო, 26 აგვისტო: „გურულებო თავი არ მომჭ-რათ ეს საფრთხობელა არ გაიყვანოთ... 😊😊😊 ?“

ხელისუფლების ოპონენტების მადისკრედიტირებელმა ფეისბუკ გვერდმა **„ნაცების დასაცინი ოფიციალური სააგენტო“** გამოაქვეყნა ფოტოშოპით შექმნილი სქრინშოტი, რომელიც თითქოს ენმ-ს წევრის სალომე სამადაშვილის და ქართული ოცნების წევრის გია ვოლსკის სიტყვა-პასუხს ასახავს. კომენტარს ახლავს სალომე სამადაშვილის ფოტოსურათი. პოსტის თანახმად, სალომე სამადაშვილი ფეისბუკ პროფილზე შემდეგ სიტყვებს წერს: „ქართულმა ოცნებამ სახე დაკარგა...“, პასუხად კი „ქართული ოცნების წარმომადგენელი გია ვოლსკის კომენტარში წერს: „ამ ვიდით რამდენს ბედავ!!“



ფრაზა „ამ ვიდით რამდენს ბედავ!!“, რომელიც მოარული გახდა სოციალურ ქსელში, სხვა ქალების მიმართაც გამოიყენებოდა. „პატრიოტთა ალიანსთან“ დაკავშირებულმა გვერდმა **„პოლიტიკური სარკაზმი“** გამოაქვეყნა მაიმუნის ფოტო ქუსლიანი ფეხსაცმელებით და ჩანთით. მინაწერით „ვახ ჩერგოოოო“. ამ დაცინვის ადრესატი „ევროპული საქართველოს“ საარჩევნო კამპანიის აქტივისტი თამარ ჩერგოლეიშვილი იყო.

პოლიტიკური სარკაზმი, 24 სექტემბერი: „ჩერგო ამ ვიდით ვის უბედავ კარდაკარს“.

ქალებს დასცინიან სხეულის წონის გამოც. პარტია „პატრიორთა ალიანსთან“ დაკავშირებული გვერდი **„პოლიტიკოსები 1 ლარიდან“** აქვეყნებს ენმ-ის პარტიული სიის კანდიდატის მეგი გოცირიძის პოსტის სქრინშოტს, რომელშიც გოცირიძე ხელისუფლებას აკრიტიკებს. ფეისბუკ გვერდის სტატუსში კი მას შეფარულად, მეტაფორულად დასცინიან წონის გამო:



პოლიტიკოსები 1 ლარიდან, 14 აგვისტო: „ხმები დაგორავს, მეგიკოს პროპორციულ სიაში უპირებენ ჩაწერასო... ჰოდა, არ დაჩაგროთ ეს გოგო და რამე ნოყიერი თანამდებობა გამოუნახეთ მაგალითად, ქალთა კოლონიის ზედამხედველი ან სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი“.

მონიტორინგის პერიოდში დასცინოდნენ პოლიტიკოსი ქალების ჩაცმულობასა თუ გემოვნებასაც.

ხელისუფლების ოპონენტების მადისკრედიტირებელი გვერდმა **„ქვეყნის მტრები“** გააზიარა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრის სალომე სამადაშვილს ფოტოები და თითოეულ ფოტოზე წითელი წრით გამოკვეთა მისი აქსესუარები.

ქვეყნის მტრები, 23 ოქტომბერი: „ქართულ ოცნებასთან დაკავშირებული გვერდი: „ამის „გულსაბ-ნევები“ არ შემიძლია რა?“

„ქართულ მარშთან“ დაკავშირებული ფეისბუკ გვერდზე **„ანტილიბერალური დოქტრინა“** კი ნინო ბურჯა-ნაძეს „პელენწუკას“ უწოდებს.

ანტილიბერალური დოქტრინა, 1 ოქტომბერი: არაააა გაუჭირდებოდა მიშას 😊😊 ეს „პელენწუკა მართლა“ 😊😊😊

მიხეილ სააკაშვილმა საკუთარ ფეისბუკ გვერდზე შეურაცხმყოფელი ტერმინით მოიხსენია იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი. სააკაშვილმა „მთავარი არხის“ ინფორმაცია – იუსტიციის მინისტრის განცხადება „სააკაშვილს აქვს შიში, რომ ჰააგაში დავას წააგებს“, რომელსაც წულუკიანის ფოტო ერთვოდა, გააზიარა და მას „მახინჯი“ უწოდა. ეს პოსტი სააკაშვილმა მალევე წაშალა.

მიხეილ სააკაშვილი, პერსონალური ფეისბუკ გვერდი, 18 აგვისტო: „ეს მახინჯი საქართველოს გამტყუნებაზე ოცნებობს და ჩალიჩობს“.

„ნაციონალური მოძრაობის“ / მხარდამჭერი **კახაბერ ადამია** თავის პირად ფეისბუკ გვერდზე აქვეყნებს ფოტოს, რომელზეც თეა წულუკიანი პირბადითაა გამოსახული.

Kakhaber Adamia, 2 სექტემბერი: „ქალი არ მინახია ასე რო უხდებოდეს ნიღაბი... ??“

ამ სტატუსის კომენტარებში გრძელდება წულუკიანის დაცინვა (უმეტესად ქალების მხრიდან, თუ მათი ფეისბუკ პროფილებით ვიმსჯელებთ) ირონიული ფრაზებით: „დახატა; მისი სტილია; სად იყო აქამდე?!; ზედ დააკვდა; ესე ნიჩევო!; ვაია ამას მართლა უხდებაია; Krasotka“ და ისეთი ეპითეტებით, როგორიცაა: მახინჯი, ჭინკა, სატანა, საფეთარი (ქართლურ დიალექტში „ძლიერ უშნო, ულამაზო, მახინჯი“).

კრიტიკის საგანი გახდა აგვისტოში პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის ჩაცმულობა. ერთ-ერთი სატელევიზო კომენტარის გაკეთების დროს ზურაბიშვილს მაისურზე გამოკვეთილი ჰქონდა მკერდი.



ხელისუფლების მადისკრედიტირებელმა ფეისბუკ გვერდმა „ქოცების დასაცინი ოფიციალური სააგენტო“ 17 აგვისტოს გამოაქვეყნა სალომე ზურაბიშვილის ზემოაღნიშნული კომენტარის ამსახველი ვიდეო, რომელსაც ებმის კადრი იუმორისტული შოუდან. კადრში ჩანს ჩვილი ბავშვის ფორმაში ჩაცმული მსახიობი, რომელიც გაბმულად იმეორებს „ძუძუ მინდა“. ვიდეოს აქვს მინაწერი „უნდა.“

ხელისუფლების მადისკრედიტირებელმა ფეისბუკ გვერდმა, „ქოცების დასაცინი ოფიციალური სააგენტო“, პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს შეურაცხყოფა ჰიგიენაზე მითითებით მიაყენა. გვერდი აზიარებს ვიდეოს, რომელშიც სალომე ზურაბიშვილი გამოდის რეზიდენციიდან და მანქანაში ჩაჯდომამდე ჟურნალისტებს მოკლე კომენტარს აძლევს.

ქოცების დასაცინი ოფიციალური სააგენტო, 17 აგვისტო: „ამ დასაბანი თავით წავიდა მინსკში?“

დისკრიმინაციული იყო ლეიბორისტული პარტიის ლიდერის შალვა ნათელაშვილის მიერ პარტიული სიის ქალი კანდიდატების წარდგენა. ეს შემთხვევა პოზიტიური სექსიზმის მეორე მაგალითია – ერთი შეხედვით, თითქოს პოზიტიური, მაგრამ სინამდვილეში დისკრიმინაციული შეფასების მაგალითი. ქალი კანდიდატების წარდგენის დროს პარტიის ლიდერმა ამ ქალების განათლების, უნარების თუ გამოცდილების ნაცვლად სილამაზეს და ასაკს გაუსვა ხაზი.

Shalva Natelashvili – შალვა ნათელაშვილი, ლეიბორისტული პარტია, 26 სექტემბერი: „გემრიელი ლუკმა შემოვინახეთ ბოლოსთვის, ულამაზესი ლუკმა შემოვინახეთ ბოლოსთვის. სამ უმშვენიერეს გოგონას ახალგაზრდას ვასახელებთ საკრებულოებში წევრობის კანდიდატად“.

2.4. მონეგრივი შესაძლებლობების ნიშნით შეურაცხყოფა / დაცინვა

დარღვევის ეს კატეგორია მოიცავს დისკრიმინაციას/შეურაცხყოფას ინტელექტუალური უნარების, გამოცდილების, კომპეტენციების ნიშნით. მონიტორინგის პერიოდში ამ კატეგორიაშიც, გარეგნული მახასიათებლების კატეგორიის მსგავსად, 38 დარღვევა გამოვლინდა.

ქალი პოლიტიკოსების მიმართ იყენებენ ისეთ სიტყვებს, როგორიცაა შტერი, იდიოტი, ოროსანი, დებილი, ჩლუნგი, გაუნათლებელი და დასაცინად იყენებენ როგორც ტექსტს, ასევე ფოტო და ვიდეომანიპულაციას.

„ქართულ მარშთან“ დაკავშირებულ ფეისბუკ ჯგუფში **„ქართული მარში – ეროვნული მოძრაობის“ მხარდამჭერთა ჯგუფი“** მომხმარებელმა გააზიარა „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატის ნანუკა ჟორჟოლიანის mix.metronome.ge-ზე გამოქვეყნებული კომენტარი, რომელსაც „ბჟუტური“ უწოდა.

Marina Koranashvili, 29 ოქტომბერი: „რას ბჟუტურებს ეს ქალი“

ნანუკა ჟორჟოლიანის შეურაცხყოფის სიხშირით ხელისუფლების ოპონენტების მადისკრედიტირებელი ფეისბუკ გვერდი **„მიხეილ უკრაინოლოგი“** გამოირჩეოდა.



მიხეილ უკრაინოლოგი, 1 ნოემბერი: „[ნანუკა ჟორჟოლიანიზე] როდიდან ამხელა ხოდი დებილო?“

ეს პოსტი დღეისთვის წაშლილია ისევე, როგორც ამავე გვერდის ორი სხვა პოსტი (**29 ოქტომბერსა** და **1 ნოემბერს** გამოქვეყნებული), რომლებშიც ის ჟორჟოლიანს ამავე შეურაცხმყოფელი სიტყვით მოიხსენიებდა.

„იდიოტკას“ უწოდებენ „ნაციონალური მოძრაობის“ კიდევ ერთ მაჟორიტარობის კანდიდატს ხატია დეკანოიძეს პოსტში, რომელიც ხელისუფლების ოპონენტების მადისკრედიტირებელ ფეისბუკ ჯგუფში **„სიმართლის გზა“** მომხმარებელმა „სოფია სოფია“ გააზიარა.

სოფო სოფო „სიმართლის გზა“, 21 ოქტომბერი: ხატიამ, დაიფიცა საფლავზე ბებია ბაბუასთან, ვაი შენს პატრონს უბედურს დებილკ... მკვდრები დააყენე იდიოტკა, ალბათ მიწაში ტრიალებენ შენაირი ნამუსგარეცხლი შვილიშვილი რომ ყავდათ სატანა არაქალო... 😊😊😊😊

„ქართული ოცნების“ / მხარდამჭერ ჯგუფში **„ბიძინა ივანიშვილის მეგობრები ფეისბუკზე“** მომხმარებელმა ატვირთა ვიდეო ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერიდან, რომელშიც თაკო ჩარკვიანი ცდილობს გაიხსენოს პოლიტიკოსები, რომლებმაც კონკრეტული განცხადება გააკეთეს, თუმცა გიგა ბოკერიას გარდა ვინმე სხვის გახსენება უჭირს და ჩუმდება. ამის შემდეგ ვიდეოში ჩასმულია ნაწყვეტი ფილმიდან „ჭრიჭინა“, სადაც პროფესორი ფილმის გმირს, რომელიც გამოცდაზე ვერ პასუხობს, ეუბნება: „ახლა დამშვიდდით, უკეთ მოემზადეთ და მომავალ წელს ჩაგვაბარეთ“.



ბიძინა ივანიშვილის მეგობრები „ფეისბუქზე“, Rusiko Asatiani, 18 აგვისტო: მიჩურინის ვაშლი... (ტაკო პუბლიცისტკა) 😊

ფეისბუკ ჯგუფში **„რუსთავი 21 / RUSTAVI 21“** მომხმარებელმა გააზიარა ფოტომანიპულაცია – კულტურისტი ქალი „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოს“ ლიდერის ნინო ბურჯანაძის თავით. ფოტოზე ბურჯანაძის საარჩევნო ლოზუნგი „აირჩიე ძალა და გამოცდილება“ წერია და აქვს მინაწერი „ეს შეაჩერებს რუსეთს“ და მიხატული აქვს სმაილები.

ფეისბუკ გვერდზე **„საერთო გაზეთი“** გამოქვეყნდა ჟურნალისტ გელა ზედელაშვილის ვრცელი პოსტი, რომელშიც ის „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენლებს ესხმის თავს, მათ შორის ამ საარჩევნო ბლოკში შემავალ ნინო გოგუაძეს. ამ პოსტში ის აკნინებს არა მარტო პოლიტიკოსის ინტელექტუალურ მონაცემებს, არამედ შეურაცხყოფას აყენებს მას ხმის და საუბრის მანერის გამო:

საერთო გაზეთი, გელა ზედელაშვილი, 13 აგვისტო: „აი, ისა, ირაკლი ალასანიას პარტიაში რო იყო, ბიძინას ხათრით დეპუტატიც რო გახდა... ნინო გოგუაძე. ჰოდა, დასჩხავლა ამ გოგუაძემ ტრიბუნიდან ყვავივით მთელ საქართველოს, თუ ადამიანი ერთადერთია, ის ერთია და ამ ერთადერთობით მიბმულია დასავლურ დემოკრატიაზეო. დიახაც, სწორედ ამიტომაც უნდა ავირჩიოთ „ევროპული საქართველოო". რაღა დაგიმალოთ და... მე მგონი, ძაან ჭკვიანობა თქვა ამ ყვავმა... უკაცრავად, ამ ქალმა..."

ანტილიბერალურ ჯგუფებთან დაკავშირებულმა ფეისბუკ გვერდმა „ალტ-ინფომ" „ქართული ოცნების" საარჩევნო სიის პირველი ოცეულის კანდიდატი ქალების უნარები დააყენა ეჭვქვეშ და ისინი გოგონებად მოიხსენია:

ალტ-ინფო, 11 სექტემბერი, გიორგი ქარდავა: „აი, ეხლა ეს გოგონები, ეს ქალბატონები საერთოდ ვინ არიან ესენი, რა უნარ-ჩვევებით არიან დაჯილდოებულები, ან რა პოლიტიკურ ბაგაჟს ფლობენ?.. რა კრიტერიუმებით ირჩევენ?"

2.5. სექსიზმი / მიზოგინია[26]

წინასაარჩევნო პერიოდში გაძლიერდა ანტილიბერალური დისკურსი გენდერული თანასწორობის წინააღმდეგ და გამოიკვეთა იმ კანონმდებლობის კრიტიკის ტენდენცია, რომელიც ხელს უწყობს გენდერული დისკრიმინაციის და უთანასწორობის აღმოფხვრას, ქალთა უფლებების, მათ შორის პოლიტიკური უფლებების დაცვას და გაძლიერებას. მონიტორინგის პერიოდში ასეთი დარღვევის 20 შემთხვევა აღინიშნა. ამ თემის წინასაარჩევნოდ გააქტიურებას ულტრანაციონალისტური, ანტილიბერალური და პრორუსული განწყობების მქონე მედია და ცალკეული აქტორები ცდილობდნენ. გენდერული თანასწორობის ხელშემწყობ კანონმდებლობას დასავლეთის მიერ თავსმოხვეულ და ლიბერალური სისტემის შედეგად მიღებულ მოვლენად წარმოაჩენდნენ. ასეთი გზავნილების სავარაუდო მიზანი ამომრჩევლებზე ზემოქმედების მოხდენაა. ამ მოსაზრებას ამყარებს ანტილიბერალური ორგანიზაციის „ალტ-ინფოს" მოწოდება აუდიტორიისადმი, „პოლიტიკური და იდეური საფასური" გადაახდევინოს ლიბერალურ სისტემას მოახლოებულ არჩევნებზე.

ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილი გაუპატიურების სისხლისსამართლებრივი რეგულირების ცვლილებას „უცხოეთიდან დათრეული გრანტების ხათრით" შემუშავებულს უწოდებს, რაც შეიძლება ქალებმა „დაქორწინებაზე იძულების ან სხვა სიკეთის გამოსაძალად" გამოიყენონ:

შალვა ნათელაშვილი, „ლეიბორისტული პარტია", 4 აგვისტო: „... უცხოეთიდან დათრეული გრანტების ხათრით პარლამენტში შეიტანა კანონპროექტი, რომლის თანახმადაც, პარტნიორის თანხმობის გარეშე სქესობრივი კავშირი დამყარება დაისჯება. ეს შეეხება ქორწინებით დაკავშირებულ პარტნიორებსაც.... ამ ახალი, ბუნდოვანი ნორმის შემოტანამ (კიდევ კარგი წინასწარ ნოტარიუსის თანხმობაც არ ჩაწერეს) შეიძლება სტარტი მისცეს გარკვეულ პირთა ტალანტს დაქორწინებაზე იძულების ან სხვა სიკეთის გამოსაძალად წავიდნენ პროვოკაციაზე...."

[26] „მიზოგინია" ქალების მიმართ სიძულვილს აღნიშნავს და გულისხმობს ქალის პოლიტიკური რაციონალურობის დაბალ შეფასებას, ქალის არასრულფასოვან არსებად და მხოლოდ სექსუალურ სუბიექტად წარმოჩენას, ქალის, როგორც საშიში ქმნილების დახატვას.
„სექსიზმი" სოციალური წესრიგის იმ სისტემურ და სტრუქტურულ თავისებურებას აღნიშნავს, რომელიც საფუძვლად უდევს მამაკაცების მიერ ქალების ჩაგვრას, ადამიანის დისკრიმინაციას ან მის წინასწარგანწყობით შეფასებას მისი სქესის საფუძველზე. სექსიზმი შეიძლება გამოიხატებოდეს ქალის, როგორც ფიზიკურად ან მენტალურად მამაკაცზე ნაკლებად ღირებულის ან უნარიანის შეფასებაში, ქალის მიმართ განსხვავებულ დამოკიდებულებაში საზოგადო თუ პირად სფეროში, ქალის გამორიცხვაში საქმიანობის გარკვეული სფეროებიდან, სხვა. სექსიზმის მნიშვნელოვანი წყაროა გენდერული როლების შესახებ ტრადიციული სტერეოტიპები.

საანგარიშო პერიოდში (4 აგვისტო – 4 ნოემბერი) ანტილიბერალურ ჯგუფებთან დაკავშირებულმა ანგარიშმა „ალტ-ინფომ“ საკმაოდ დიდ დრო დაუთმო ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობისგან დაცვისა კანონმდებლობის კრიტიკას. „ალტ-ინფოს“ 18 სექტემბრის გადაცემაში ამ ორგანიზაციის გამგეობის წევრი გიორგი ქარდავა ოჯახში ძალადობის ფაქტების დანაშაულად ცნობას „ლიბერალიზმის ინფანტილიზმს“ უწოდებს და ქალებს სასჯელმოხდილი კაცების შურისძიებით აშინებს:

ალტ-ინფო, გიორგი ქარდავა, 18 სექტემბერი: „ეგ არის ლიბერალიზმის ინფანტილიზმი, რო მოდი სამი წლით ჩავსვათ მამაკაცები ციხეში ოჯახური ძალადობის მუხლით და პრობლემა მოგვარდება. პრობლემა კი არ მოგვარდება, მუხტი რო დაგროვდება და ციხიდან გამოსული მამაკაცები რო დაირაზმებიან და მოგიწყობენ კონტრრევოლუციას, სუფთა ტოქსიკურ მასკულინურს და ისეთ დესპოტიზმს დაგიმყარებენ, რომელსაც ვერც კი იფიქრებდი, იგივე თემაა.“

„ალტ-ინფოს“ თანამფლობელი შოთა მარტინენკო ქალების ძალადობისგან დაცვაში კაცების რეპრესირების და ოჯახების დანგრევის მცდელობას ხედავდა მოუწოდეს მაყურებლებს, პოლიტიკური და იდეური საფასური გადაახდევინონ ლიბერალურ სისტემას მოახლოებულ არჩევნებში.

ალტ-ინფო, შოთა მარტინენკო, 16 სექტემბერი: „ეხლა ამ კაცებს უნდა მივმართოთ და მათ ოჯახებს, თქვენ უნდა რაც შეიძლება კარგად აცნობიერებდეთ, რომ რეპრესიები, რომლებიც მიიღეს თქვენ მიმართ, ოჯახებიც უნდა აცნობიერებდნენ, რო ოჯახები რო დაუნგრიეს და ცხოვრება და ციხეებში გაუშვეს, ეს არის ამ სისტემის ლიბერალური სისტემის და ამ მთავრობის მიერ დადგენილი დღის წესრიგი... შესაბამისი პოლიტიკური და იდეური საფასური უნდა გადაახდევინოთ არსებულ სისტემას, მათ შორის ხელისუფლებას, მოდის არჩევნები და გაითვალისწინეთ.“

„ალტ-ინფოს“ 15 სექტემბრის გადაცემაში კი ფემიციდს გამართლებასაც კი ვხვდებით, სადაც თურქეთში ქმრის მიერ ცოლის მკვლელობის ფაქტს განიხილავდნენ. გადაცემის წამყვანები მკვლელს ამართლებენ, რადგან მათი ინფორმაციით, ქმარს ცოლი ღალატობდა.

ალტ-ინფო, ზურა მახარაძე, 15 სექტემბერი: „არის ცხოვრებაში მომენტები, როცა რაღაცა იურიდიულად გამართლებული და მორალურად გამართლებული ერთმანეთს არ ემთხვევა. იურიდიულად არ არსებობს მდგომარეობა, როცა გამართლებულია სხვისი სიცოცხლის ხელყოფა, მაგრამ მორალურად არსებობს ეგეთი შემთხვევები, როცა ადამიანები მაგაზე მიდიან, იმის გაცნობიერებით, რა მოუვათ მერე.“

ანტილიბერალური ფეისბუკ გვერდი „ალტ-ინფო“ ასევე ცდილობდა კვოტირების კანონი[27] „მკაცრი, ხისტი, ფემინისტური ჩარევის გამოხატულებად“ წარმოეჩინა. ავითარებდა აზრს და ამყარებდა სტერეოტიპს, რომ პოლიტიკა არ არის ქალების საქმე:

შოთა მარტინენკო, ალტ-ინფო, 4 სექტემბერი: „პოლიტიკა არის ისეთი სფერო, რომელშიც რეალურად კაცი არის ლიდერი ფუნქციის მატარებელი, ამ თემაში ქალის ჩვეულებრივ უნარები არის ნაკლებ შესაბამისი... ისეთ სივრცეში ვითხოვთ კვოტების გაკეთებას, რაც უბრალოდ თავის თავში გულისხმობს ხარისხის გაუარესებას“

[27] 2020 წლის 2 ივლისს საარჩევნო კოდექსში მიღებული ცვლილებების თანახმად, 2028 წლამდე ჩასატარებელ საპარლამენტო არჩევნებში პარტიული სიის ყოველი მეოთხე კანდიდატი განსხვავებული სქესის წარმომადგენელი უნდა იყოს, ხოლო შემდეგ, 2032 წლამდე – ყოველი მესამე. საარჩევნო კოდექსი, თავი XX. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი, მუხლი 203. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1557168?publication=65

ქალები უმოტივაციო, ბრძოლისუუნარო ადამიანებად წარმოაჩენდნენ, რასაც „ობიექტური მოცემულობით“ ხსნიდნენ:

> **ემრე ქუჩუქი, ალტ-ინფო, 25 სექტემბერი:** „ქალს არ აქვს იერარქიულ ბრძოლაში მამაკაცებთან ბრძოლაში შესვლის მოტივაცია ბუნებრივად, ამიტომ არ უნდება და არ შედის, ობიექტური მოცემულობა არის ის, რომ ცოტა ქალს აქვს ეგ მოტივაცია, რომ მოუნდეს მამაკაცთან კონკურენციაში შესვლა, იმიტომ, რომ იქ ისეთი გარემოა, პოლიტიკა არის ყველაზე მაღალი სპორტი“.

2.6. ეიჯიზმი

ეიჯიზმი ადამიანების ასაკის მიხედვით დისკრიმინაციას, სტერეოტიპიზაციას და მარგინალიზაციას გულისხმობს. ამ ტიპის დისკრიმინაცია მოიცავს ყველა ასაკობრივ ჯგუფს, თუმცა უფრო ხშირად ასაკოვან ადამიანებთან დამოკიდებულებას ეხება.

საანგარიშო პერიოდში ეიჯიზმის 5 შემთხვევა გამოვლინდა. ოთხივეს ადრესატები ოპოზიციის წარმომადგენლები იყვნენ.

პროპაგანდისტულ ფეისბუკ გვერდზე **„საერთო გაზეთი“** გამოქვეყნდა ჟურნალისტ გელა ზედელაშვილის ვრცელი პოსტი, რომელშიც ის ოპოზიციას სხვადასხვა წარმომადგენელს აკრიტიკებს. მათ შორისაა „ევროპული საქართველოს“ მაჟორიტარობის კანდიდატი ხათუნა გოგორიშვილი, რომელსაც ის შეურაცხყოფას ასაკის ნიშნით აყენებს. უნდა აღინიშნოს, რომ ასაკი ის მახასიათებელია, რომელსაც ყველაზე ხშირად იყენებენ ხათუნა გოგორიშვილის დისკრიმინაციისთვის.

> **საერთო გაზეთი, გელა ზედელაშვილი, 13 აგვისტო:** „აი, ხათ(ქ)უნა გოგორიშვილზე მაგრად ვიხალისე. ეგ რო გამოგოგმანდება თავისი ბეგრაუნდით ოზურგეთ-ლანჩხუთ-ჩოხატაურის მაგისტრალზე, მაგისი ხილვა ეღირება ერთ რამედ. არა, სხვა ბებერი ჯორებიც საინტერესონი იქნებიან, მაგრამ ეს უფრო მაგარი ეგზემპლარია.”

ხელისუფლების ოპონენტების მადისკრედიტირებელმა ფეისბუკ გვერდმა **„სექტა“** „ევროპული საქართველოს“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარობის კანდიდატის, ხათუნა გოგორიშვილის ფეისბუკ გვერდის რეკლამის სქრინშოტი დისკრიმინაციული კომენტარით გააზიარა.

სექტა, 25 აგვისტო: „წადი რა ბებო სახლში, ლობიო მოხარშე, ჭადები დააკარი, მაინცდამაინც პლენარულ სხდომაზე უნდა მოკვდე?“

ამ სტატუსის პათოსით იყო დაწერილი კომენტარებიც: „ისე დაბერებულა ძლივს იდგა ფეხზე, შემეცოდა; ეს პარლამენტში უნდა დაიშალოს მანდამაინც; ამას დაგინებული აქვს პარლამენტში უნდა ამოხდეს სული; იმენნა პლენარული სხდომიდან უნდა გამიტანონო; ნოგი ვ პირიოდ; იდი ნახუი ქალბატონო; ლობიო ხარშე და ლოგინში გათბები. ზამთარი მოდის, რაგსავს ეს პატრონ.... ასეთი მახნიჯი არსება ჯერ არ მინახავს“.

დისკრიმინაციული იყო ანტილიბერალურ ჯგუფებთან დაკავშირებული გვერდის „ალტ-ინფოს“ განცხადებაც, რომელშიც ის „გოგონებად“ მოიხსენიებს ახალგაზრდა ქალებს. „ალტ-ინფო“ 2012 წელს პარლამენტარის ასაკის 25-დან 21 წლამდე შემცირების საკანონმდებლო ცვლილებას იხსენებს. იმ წელს მმართველმა პარტიამ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ეს ცვლილება სამი ქალი კანდიდატისთვის გამოიყენა[28]. „ალტ-ინფოს“ კომენტარში ასევე იკითხება მაშინდელი კანდიდატების გონებრივი და მორალური კრიტერიუმებით შეურაცხყოფის მცდელობა.

ალტ-ინფო, 11 სექტემბერი, ზურა მახარაძე: „აი, მიშას დროს, ცოტა ცუდ რაღაცას ვიტყვი, მაგრამ ვიღაც გოგოებიც ხო შეჰყავდათ, ვის გამოც პარლამენტარის ასაკიც ხო დაწიეს, ვიღაცა გოგონა, გვაქვს მოსახლეობის დიდ ნაწილს ეგეთი ეჭვი, რა უნარ-ჩვევების გამო შეიყვანეს პარლამენტში, მაგრამ ეგეც კი რაღაც გარკვეული უნარ-ჩვევებია, რომლითაც გასაგებია, როგორ უნდა გაიქაჩო.“

[28] https://civil.ge/ka/archives/150795

III. მადისკრედიტირებელი კამპანიები

მონიტორინგის პერიოდში (4 აგვისტო – 4 ნოემბერი) ქალი პოლიტიკოსების მიმართ კამპანიური, ორკესტრირებული თავდასხმის ორი შემთხვევა გამოვლინდა, რაც მიზნად ისახავდა ადრესატების, კერძოდ, პარლამენტის წევრის და „ევროპული საქართველოს“ მაჟორიტარობის კანდიდატის ელენე ხოშტარიას და ასევე პარლამენტის წევრის და პოლიტიკური პარტია „თავისუფლებისთვის“ დამფუძნებლის ეკა ბესელიას დისკრედიტაციას მორალური კრიტერიუმების ნიადაგზე.

3.1. დისკრედიტაციის კამპანია „ევროპული საქართველოს“ მაჟორიტარობის კანდიდატის ელენე ხოშტარიას წინააღმდეგ

„ევროპული საქართველოს“ მაჟორიტარობის კანდიდატის ელენე ხოშტარიას წინააღმდეგ კამპანია, რომლიც მის დისკრედიტირებას ზნეობრივი ღირებულებების ნიშნით ცდილობდა, ხოშტარიას პოლიტიკურ კუთვნილებასა და საქმიანობას ეხება. თავდასხმები „ევროპული საქართველოს“ მაჟორიტარობის კანდიდატზე 25 აგვისტოდან გააქტიურდა, მას შემდეგ, რაც მან პროკურატურაში „პატრიოტთა ალიანსის“ რუსეთიდან შესაძლო დაფინანსების საკითხის გამოძიების მოთხოვნით განცხადება შეიტანა.[29] პროკურატურისთვის მიმართვას წინ ცენტრ „დოსიეს” მიერ აღნიშნულ თემაზე ჩატარებული ჟურნალისტური გამოძიება უსწრებდა.

25 აგვისტოს დაწყებულ თავდასხმებს კონტრბრალდებების სახე ჰქონდა, რომლებიც ელენე ხოშტარიას რუსეთში მიღებულ უმაღლეს განათლებას ეხებოდა. ფეისბუკ ანგარიშებზე გამოქვეყნებული სტატუსების სავარაუდო მიზანი ხოშტარიას რუსეთისადმი კეთილგანწყობაში დადანაშაულება იყო.

პარლამენტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ბიოგრაფიის მიხედვით, ელენე ხოშტარიას დამთავრებული აქვს საერთაშორისო ურთიერთობების მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით. „ქართული ოცნების“ მმართველი გუნდი მას ამ ფაქტს კონტრბრალდების სახით ხშირად ახსენებს.[30,31,32]

[29] https://netgazeti.ge/news/478288/
[30] https://netgazeti.ge/news/477408/
[31] https://netgazeti.ge/news/427841/
[32] https://bit.ly/3lEoNbF

25 აგვისტოს ონლაინ გამოცემამ reportiori.ge გამოაქვეყნა რეჟისორის გოგა ხაინდრავას კომენტარი, რომელშიც ის ელენე ხოშტარიას ურჩევს, საკუთარ „ბიოგრაფიაში ჩაიხედოს“:

> **გოგა ხაინდრავა, რეჟისორი, reportiori.ge, 25 აგვისტო:** „მე ვფიქრობ, რომ მისასალმებელი ინიციატივაა იმ პარტიების მოხსნა, რომლებიც რუსეთის მიერ არის დაფინანსებული, მაგრამ ქალბატონ ელენე ხოშტარიას ვურჩევდი, რომ რუსულ სპეცსამსახურებთან საკუთარი კონტაქტებიდან დაიწყოს, თავის ბიოგრაფიაში ჩაიხედოს.... არ მიკვირს, რომ რუსული წარმომავლობის კომპანია ელენე ხოშტარიასთვის სანდოა, რადგან ელენე ხოშტარიას აქვს რუსული წარმომავლობა, მას განათლება რუსული „კგბ“-ს სამჭედლოში აქვს მიღებული, ეს არის რუსული დიპლომატიური სასწავლებელი და მან კარგად იცის, რას ასწავლიდნენ მას რუსული უშიშროების წარმომადგენლები სწავლის დროს“.

26 აგვისტოს ეს კომენტარი „პატრიოტთა ალიანსთან“ დაკავშირებულმა ონლაინ გამოცემამ **Tinp.ge – დღეს პოლიტიკაში** როგორც თავის ვებ-გვერდზე, ასევე **ფეისბუკ გვერდზე** უცვლელად გამოაქვეყნა. აღნიშნული გვერდი ფეისბუკმა „კოორდინირებული არაავთენტური ქმედების გამო“ **წაშალა** და შესაბამისად პოსტები ხელმისაწვდომი არ არის.



თავდასხმები მომდევნო დღეებშიც გაგრძელდა: 26 აგვისტოს „სოფო სოფომ“ ხელისუფლების ოპონენტების მადისკრედიტირებელ ფეისბუკ ჯგუფში **„სიმართლის გზა“** გააზიარა ანალოგიური შინაარსის მასალა და სტატუსში ხოშტარია არა მარტო რუსეთში მიღებული განათლების, არამედ „არაქალური“ ქცევის გამოც მიაყენა შეურაცხყოფა. ამ შემთხვევაში ხოშტარიას, როგორც ქალ პოლიტიკოსს, თავს ესხმიან არა მარტო მისი პოლიტიკური აქტივობის გამო, არამედ იმიტომ, რომ ქალია; ეს მაგალითი ორი კატეგორიის დარღვევას მოიცავს: მორალური კრიტერიუმებით თავდასხმას და გენდერული სტერეოტიპებით გაკიცხვას და შესაბამისად, დარღვევის ორივე კატეგორიის რაოდენობრივ მონაცემებშია შეტანილი.

სოფო სოფო, დავასრულოთ ნაცები!!! – „სიმართლის გზა“, 26 აგვისტო: გოგის, ქალბიჭა სხვას რატო უწოდებ რუსეთუმეს. როცა შენ გიმო გაქვს დამთავრებული შე შვისტოკა, და გავრილოვზე, ჰიმნი ნამღერი. ხმა რომ ჩაიწყვიტო ჯობია შენთვის... 😊 😊 😊“

„პატრიოტთა ალაინსთან“ დაკავშირებულმა მეორე გვერდმა „Memeატურები“[33] ატვირთა მემე, რომელზეც ელენე ხოშტარია ტყუილების გამავრცელებლად არის წარმოჩენილი.

Memeატურები, 27 აგვისტო: „საშოპინგოდაა ელენიკო წასული“.

ამ მემეს კომენტარებში ელენე ხოშტარიას „პუტინის მონას“ და „მატყუარას“ ეძახიან.

[33] https://www.mythdetector.ge/ka/myth/daukavshirdit-namdvil-opozitsias-patriotta-alianstan-da-skhva-antidasavlur-jgupebtan

ხელისუფლების ოპონენტების მადისკრედიტირებელმა გვერდმა **„სირცხვილის კორიდორმა“** გამოაქვეყნა ხოშტარიას ფოტო, რომელზეც დეპუტატობის კანდიდატი „ქვეყნისთვის საშიშ პრორუსული ძალის მქონე პოლიტიკოსად“ არის მოხსენებული, ხოლო ფოტოს მარცხენა ქვედა კუთხეში წერია: #ერთადრუსეთისთვის.

სირცხვილის კორიდორი, 29 აგვისტო: ცნობისთვის, ელენე ხოშტარიას განათლება რუსული „კგბ“-ს სამჭედლოში აქვს მიღებული, რუსულ დიპლომატიურ სასწავლებელში.

ირაკლი ჯანყარაშვილმა[34], რომელიც ფეისბუკზე პროსახელისუფლებო, ანტილიბერალური განწყობის რამდენიმე გვერდს მართავს,[35] 31 აგვისტოს დაწერა სტატუსი, რომელშიც ელენე ხოშტარიას ინტელექტუალურ შესაძლებლობებს დასცინა. პოსტს ახლავს ხოშტარიას ფოტო, რომელსაც აწერია: „ჰელენ გამობუნძულებული“. ეს პოსტი იმავე დღეს **tvalsazrisi.ge**-მ გამოაქვეყნა, ხოლო თავად ჯანყარაშვილმა კოორდინირებულად რამდენიმე ჯგუფში გააზიარა: ხელისუფლების ოპონენტების მადისკრედიტირებელ ფეისბუკ ჯგუფში **„სიმართლის გზა“,** „პატრიოტთა ალიანსთან“ დაკავშირებულ ჯგუფში POLITIKO და „პატრიოტთა ალიანსის“ მხარდამჭერთა ჯგუფში **„პატრიოტთა ალიანსის მხარდამჭერები!!!“** ეს შემთხვევა გონებრივი შესაძლებლობების ნიშნით შეურაცხყოფის / დაცინვის კატეგორიაში მოხვდა.

33 https://www.facebook.com/profile.php?id=100049087023385
34 http://mythdetector.ge/ka/myth/ra-saerto-akvt-irakli-irakli-s-antiliberalur-doktrinas-news-front-sa-da-tvalsazrisige-s

ირაკლი ჯანყარაშვილი, 31 აგვისტო: „ჰელენე ხოშტარია ისე გამობუნძულდა პროკურატურიდან როგორც მიბუნძულდა მგიმოელმა ჰელენ ხოშტარიამ პროკურატურაში მიაჭრა ამ თავისი „დოსიეს" ფარატინა ფურცლებით და არიქა პატრიოტებზე გამოძიება დაიწყეთო.

ჰელენეს პრიალა და უნაოჭო ტვინმა ვერ განსაზღვრა, რომ არანაირი სამართლებრივი საფუძველი არ აქვს დოსიეს „აიტიშნიკის" კლავიატურაზე ნაკაკუნებ ნაბოდვარს და ეს ჩვენე ჰელენეც უკან ისე გამობუნძულდა როგორც მიბუნძულდა. აი ესეთი შმანძები ხართ ბოკერიას კლასტერში!!!"

პოსტს 219 მოწონება, 22 გაზიარება და 41 კომენტარი ჰქონდა. ამ პოსტის კომენტარებში შეურაცხმყოფელი ფრაზებით მოიხსენიებდნენ: „უსაზიზღრესი ქალ-ქაჯი, პილანძუკი, მოდგმით აგენტების ოჯახში გაიზარდა...", „ქვეყნის ნომერ პირველი მტერი და სამარცხვინო არსება, ეს არანორმალური". „ძუკნა", „ეშმაკის მეძავი მწოველები, გავრილოვს შესჩივლოს და მოუგვარებს პრობლემას", „მსგავსი ნაძირლები არ მინახავე, ლიბერასტპიდარასტები, უიიიი!!" „ეს რადაემართა, საკუთარ თავს არ აპატიებს უნიტაზში ამოიძრობს სულს ეს წმინდა სამშობლოს მოღალატე, ეს ხომ ღვაწლმოსილო მოღალატეთა ოჯახიდან არის, მთლად ცხონებული მამის კვალზე დგას ენაცვალოს მშობლიური KGB, კაგებეშნიკი", „ქართულ პოლიტიკაში ჩანერგილი ხოშტარია," „რუსეთის კაგებეს უნივერსიტეტი დაამთავრა" და სხვა.

ამ ტიპის თავდასხმები ელენე ხოშტარიაზე სექტემბერშიც გაგრძელდა. „ქართული ოცნების" მხარდამჭერმა, ლაშა ჯუღელმა, რომლის პროფილის თანახმადაც ის ამ პარტიაში მუშაობს,[36] „ქართული ოცნების" მხარდამჭერთა გვერდზე **„ჩვენ გავიმარჯვებთ 41 / we will win 41"** გააზიარა სტატუსი, რომლითაც ელენე ხოშტარიას შეურაცხყოფდა, მათ შორის, ჰომოფობიური სიძულვილის ენით. ეს სტატუსი ლაშა ჯუღელმა ხელისუფლების ოპონენტების მადისკრედიტირებელ ჯგუფებში **„გასამართლდეს ნაციონალური მოძრაობა"** და **„დავასრულოთ ნაცები – Davasrulot Nacebi!"** გააზიარა.

[36] https://www.facebook.com/lasha.jugeli.50/about

Lasha Jugeli, 20 სექტემბერი: „ЛЕНА ГАВРИЛОВНА ВРАГ НАРОДА; ლგბტ „თემის“ აქტიური მხარდამჭერი და სისხლიანი რეჟიმის თანამონაწილე. გაურკვეველი ორიენტაციის მქონე და ნაცისტური იდეოლოგიის მატარებელი“.

კიდევ ერთი ჰომოფობიური პოსტი, რომლის სამიზნეც ხოშტარიასთან ერთად „რესპუბლიკური პარტიის“ ლიდერი ხათუნა სამნიძეც იყო, 8 ოქტომბერს „სოფია სოფიამ“ ფეისბუკ ჯგუფში **„სიმართლის გზა“** გამოაქვეყნა.



სოფია სოფია „სიმართლის გზა“, 8 ოქტომბერი: „ამ გიმო დამთავრებულმა და გავრილოვის, ნასედკა ხოშტამ, მიმბლოკა იმიტომ რომ მის სტაჟიან ლეზბიანკას და მას კარგად დაუწერე რომ ბანძები არიან... 😊 😊 😊 😊 😊 “

3.2. დისკრედიტაციის კამპანია პარტია „სამართლიანოგისთვის" ლიდერის ეკა ბესელიას წინააღმდეგ

3 ნოემბერს ტელევიზიით გავრცელდა კადრები, სადაც სასტუმრო „თბილისი მერიოტში" გამართულ ოპოზიციური პარტიების ლიდერების შეკრებაზე „ლეიბორისტული პარტიის" ლიდერი შალვა ნათელაშვილი და პარტია „სამართლიანობისთვის" დამფუძნებელი ეკა ბესელია ერთმანეთში პრივატულად საუბრობენ. გავრცელებული კადრებიდან ისმის, რომ ბესელიამ ნათელაშვილი წარმოთქმული სიტყვისთვის შეაქო. ქებით კმაყოფილმა ნათელაშვილმა კი მას ღიმილით უპასუხა. ამ კადრებს სოციალურ ქსელში ნათელაშვილსა და ბესელიას შორის „ფლირტის" ინტერპრეტაცია მიეცა და ვიდეო და ფოტომანიპულაციების ტალღა მოჰყვა. თითქოს მსუბუქი იუმორით დაწყებული ეს ტალღა დაცინვის კამპანიაში გადაიზარდა და მორალური კრიტერიუმებით გაკიცხვის, კერძოდ კი, ეგრეთ წოდებული „სლატშეიმინგის" (slut-shaming)[37] ფორმა მიიღო.

პატრიარქალურ საზოგადოებაში ასეთი თავდასხმები, თუნდაც იუმორისტული ხასიათის, ქალს უფრო დიდი სოციალური ფასი უჯდება, ვიდრე კაცს და მისი ეფექტი, ხშირად, გამოიხატება ქალების გაჩუმებით, მათი იძულებით, მოექცნენ ქცევის გარკვეულ ჩარჩოში და შეზღუდონ მონაწილეობა პოლიტიკურ საქმიანობაში.

3 ნოემბერს ხელისუფლების ოპონენტების მადისკრედიტირებელმა ფბ გვერდმა **„სექტამ"** გამოაქვეყნა ოპოზიციის შეკრების დროს ნათელაშვილისა და ბესელიას საუბრის ამსახველი ვიდეო, კომენტარით: „ოო აქ დაცხაა 😊 ეჩალიჩება? 😊". იმავე დღეს ხელისუფლების ოპონენტების მადისკრედიტირებელმა ფბ გვერდმა **„მიხეილ უკრაინოლოგმა"** ამ კადრებს გულები დაადო და დაასათაურა „ნათელაშვილი ბესელიას ლავსთორი".



სექტა, 3 ნოემბერი: „ოო აქ დაცხაა 😊 ეჩალიჩება 😊 ?"

მიხეილ უკრანოლოგი, 3 ნოემბერი: „ნათელაშვილი ბესელიას ლავსთორი. ააუუუ ვიტირებ ეხლა"

36 „სლატშეიმინგი" (slut-shaming), რომელიც სიტყვასიტყვით ითარგმნება როგორც ბოზობით შერცხვენა, გულისხმობს ადამიანების, უმეტესად, ქალების და გოგოების კრიტიკას იმის გამო, რომ მათი ქცევა, გარეგნობა თუ ჩაცმულობა არ შეესაბამება სექსუალობასთან დაკავშირებით საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ გენდერულ ნორმებს და წარმოდგენებს. ასეთ ქცევად თუ გარეგნობად მიიჩნევა, მაგალითად, სექსუალური, პროვოკაციული ჩაცმულობა, კონტრაცეპციის ხელმისაწვდომობის მოთხოვნა, ქორწინებამდელი სექსი ან შემთხვევითი სექსი. სლატშეიმინგი ასევე ხშირად გულისხმობს სექსუალური ძალადობის მსხვერპლის მთლიანად ან ნაწილობრივ დადანაშაულებას მისი ქცევითა თუ ჩაცმულობით ამ ძალადობის პროვოცირებაში. სლატშეიმინგი გამოიყენება ქალების შერცხვენის, სტიგმატიზების მიზნით.

ოპონენტების მადისკრედიტირებელმა კიდევ ერთმა ფეიბუკ ჯგუფმა **„ნაცების დასაცინი ოფიციალური სააგენტო“** ვიდეომანიპულაციას მიმართა და ბესელიასა და ნათელაშვილს შორის საუბარი გადაფარა დიალოგით ფილმიდან „სიყვარული ყველას უნდა“. ეკა ბესელია თითქოს ამბობს: „გახსოვს ხირხალ რა გოგო ვიყავ? მაშ, იმის ღირსი ვიყავ, ეგრე მინდვრის თაგვივით მარტო დავრჩენილიყავი“.

ნაცების დასაცინი ოფიციალური სააგენტო, 3 ნოემბერი: „ახალი ვერსია“

მსგავსი ვიდეოები 3 ნოემბერს ატვირთეს ოპონენტების მადისკრედიტირებელმა სხვა ფეისბუკ ჯგუფებმა და გვერდებმა **„გასამართლდეს ნაციონალური მოძრაობა“, „ტერენტი გლდანელი“, „რეალობა“** და **„ნაცების დასაცინი ოფიციალური სააგენტო“.** ამ ვიდეობს შეურაცხმყოფელი მინაწერები ჰქონდა: „ცუდათ ვარ. ფლირტიაობენ ბონძღები“, „რომეო ნათელაშვილი და ჯულიეტა ბესელია 😊😊“, „როგორი საყვარლები ხართ თქვე ტუტუცებო“ და „Lავ Sთორი ❤️ „სიყვარული ფანჩატურში“.



მეორე დღეს, 4 ნოემბერს, ამ მიმართულებით განსაკუთრებით აქტიურობდა ოპონენტების მადისკრედიტირებელი ფეისბუკ ჯგუფი „ნაცების დასაცინი ოფიციალური სააგენტო“, რომელიც მთელი დღის განმავლობაში სხვადასხვა ფოტომანიპულაციებს და მემებს დებდა: ეკა ბესელიას და შალვა ნათელაშვილის ფოტოები ჩასმული იყო კადრში ფილმიდან **„ტიტანიკი“**, გუსტავ კლიმტის ნახატში – **„კოცნა“**, ბათუმის **„ალი და ნინოს“** ქანდაკებაში, ტელესერიალ **„კასანდრას“** აფიშაში.



ნაცების დასაცინი ოფიციალური სააგენტო, 4 ნოემბერი: „წაუტიტანიკეს“ 😊 😊 😊

ნაცების დასაცინი ოფიციალური სააგენტო, 4 ნოემბერი: „არტ ❤️ “

ნაცების დასაცინი ოფიციალური სააგენტო, 4 ნოემბერი: „მორიგი ესკიზი“.

ნაცების დასაცინი ოფიციალური სააგენტო, 4 ნოემბერი: „ხვალიდან ახალი სერიალი ქართულ ტელესივრცეში....“

მსგავსი ვიზუალური მასალა ასევე გაავრცელეს „ქართული ოცნების“ მხარდამჭერმა გვერდმა **„ლიდერი 41“** და ხელისუფლების ოპონენტების მადისკრედიტირებელმა გვერდმა **„მიხეილ უკრაინოლოგი“.**

ხელისუფლების ოპონენტების მადისკრედიტირებელი ჯგუფის **„სიმართლის გზის“** მიერ დადებულ „ტიტანიკის“ ფოტოზე გაკეთებულია წარწერები მეგრულად, რომლებიც შალვა ნათელაშვილის ცოლს, ბელა ალანიას მიემართება: „დედა ბელა სორექ. მუ დღეშიე სკანი ქომონჯი ბელა. [დედა ბელა სად ხარ, რა დღეშია შენი ქმარი ბელა] თაფლობის თვე ტიტანიკზე“.



ხელისუფლების ოპონენტების მადისკრედიტირებელმა გვერდმა **„მეხუთე რეიხი"** კი ფოტომანტაჟის შედეგად შალვა ნათელაშვილის და ეკა ბესელიას საწოლში ყოფნის სცენის ვიზუალური მანიპულაცია შექმნა, სტატუსად კი მიუწერა „მიუცია 😊 😊 "



3.3. დეზინფორმაციის გავრცელებით დისკრედიტაციის მცდელობები

საანგარიშო პერიოდში (4 აგვისტო – 4 ნოემბერი) გამოვლინდა დარღვევის ისეთი შემთხვევები, რომლებიც მიზნად დეზინფორმაციით და ფოტომანიპულაციით ადრესატი ქალების დისკრედიტაციას ისახავდა. ამ ადრესატებს შორის იყვნენ საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, ესტონეთი პრეზიდენტი კერსტი კალიულაიდი და აშშ-ის ელჩი საქართველოში კელი დეგნანი. ამ დეზინფორმაციითა და მანიპულაციის ცდილობდნენ ადრესატების ინტელექტუალური უნარების დაკნინებას (2 შემთხვევა) და ზნეობრივი ღირებულებების ეჭვქვეშ დაყენებას (2 შემთხვევა).

ყალბი ინფორმაცია სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ. 22 ოქტომბერს ხელისუფლების მადისკრედიტირებელმა ფეისბუკ გვერდმა „ყოველდღიური მოვლენები“ გამოაქვეყნა სალომე ზურაბიშვილის ფოტო და ციტატა, რომელიც, ამ გვერდის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტმა ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის გახსნის ცერემონიაზე წარმოთქვა.

ყოველდღიური მოვლენები, 22 ოქტომბერი: „ეს არის ! საშვილოსნო ! საქმე, რომელიც ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა“ – სალომე ზურაბიშვილი ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის გახსნაზე“.

„ყოველდღიური მოვლენებმა“ ეს ფრაზა დამახინჯებულად გაავრცელა. მართალია, სალომე ზურაბიშვილმა სიტყვა „საშვილიშვილო“ არასწორად წარმოთქვა – „საშვილოშვილო“, მაგრამ მას „საშვილოსნო“ არ უთქვამს. ციტატის ასეთი მანიპულაციით „ყოველდღიური მოვლენები“ დასცინის სალომე ზურაბიშვილს გონებრივი შესაძლებლობების ნიშნით.

„ყოველდღიური მოვლენების“ ეს პოსტი 23 ოქტომბერს კოორდინირებულად გაავრცელა ხელისუფლების მადისკრედიტირებელმა სხვა გვერდებმაც,[38] მათ შორისაა „Annual events ყოველწლიური მოვლენები“ და „ლურჯი ვირი“.

25 ოქტომბერს გვერდმა „ყოველდღიურმა მოვლენებმა“ კიდევ ერთხელ გამოაქვეყნა ეს პოსტი, რომელშიც სალომე ზურაბიშვილის ფოტოსურათს დართული ჰქონდა ერთ-ერთი მომხმარებლის დამცინავი კომენტარის სქრინი: „კიდეკაი საკვერცხედ არ მოიხსენია ერის მამა“.

36 http://mythdetector.ge/ka/myth/ra-sitqvebit-gadaukhada-zurabishvilma-ivanishvils-madloba

ზურაბიშვილის წინააღმდეგ მეორე გაყალბებული ციტატა მიზნად საქართველოს პრეზიდენტის მორალური კრიტერიუმებით გაკიცხვას ისახავდა.

2020 წლის 23 ოქტომბერს ინდივიდუალურმა პროფილმა Alli Babaa-მ, რომელიც სავარაუდოდ ტროლია[39], რამდენიმე ჯგუფში გაავრცელა 2018 წელს შექმნილი გაყალბებული ციტატა, რომლის თანახმად, თითქოს საქართველოს პრეზიდენტს ყველაზე მეტად ღარიბი ქართველები ეზიზღება. აღნიშნული პოსტი შემდეგ ჯგუფებში გაზიარდა: **Live Georgia, ხატია დეკანოიძე-ისნის მაჟორიტარად, Danmark-Georgien დანია-საქართველო Denmark-Georgia Данія-Грузія, მიხეილ სააკაშვილის შტაბი, Сухуми и сухумцы! ВСЕ КТО СЕБЯ СЧИТАЕТ ТАКОВЫМИ..., თეთრი და შავი.**



39 http://www.mythdetector.ge/ka/myth/alli-babaa-nigeriidan-da-skhvebi-salome-zurabishvilis-gaqalbebul-tsitatas-avrtseleben

მას შემდეგ, რაც ფაქტების გადამოწმების პლატფორმამ „მითების დეტექტორმა“ ფეისბუკთან Third party Fact-Checking program-ის ფარგლებში ეს ინფორმაცია ფეისბუკზე ყალბად მონიშნა, ციტატის გაყალბების პირველი შემთხვევა თავად ანგარიშის მფლობელმა წაშალა, ხოლო მეორე შემთხვევაში პოსტი „მითების დეტექტორის“ მასალასთან ერთად არის ხელმისაწვდომი.



ესტონეთის პრეზიდენტის / აშშ ელჩის წინააღმდეგ. კიდევ ორი დეზინფორმაციის შემთხვევა, რომლებიც საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა, მიმართული იყო ესტონეთის პრეზიდენტის კერსტი კალიულაიდის და საქართველოში აშშ-ის ელჩის კელი დეგნანის წინააღმდეგ. ორივე ამ დეზინფორმაციის გამავრცელებლები ულტრანაციონალისტური „ქართული მარშის“[40,41] წარმომადგენლები არიან.

24 აგვისტოს „ქართული მარშის“ ერთ-ერთმა ლიდერმა სანდრო ბრეგაძემ ფეისბუკის პირად ანგარიშზე გამოაქვეყნა ფოტო[42], რომელზეც, მისი მტკიცებით, ესტონეთის პრეზიდენტი კერსტი კალიულაიდი ესტო-

40 „ქართული მარში“, რომელიც 2017 წელს საზოგადოებრივი მოძრაობის სახით შეიქმნა, 2020 წელს პოლიტიკურ პარტიად დარეგისტრირდა და 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობდა.

41 http://mythdetector.ge/ka/profile/kartuli-marshi

42 https://transparency.ge/ge/blog/kartuli-neonacizmis-anatomia

ნეთის ჰომოსექსუალ დაზვერვის ხელმძღვანელთან ერთად იყო გამოსახული. ბრეგაძემ ესტონეთის პრეზიდენტს „დებილი“, ხოლო დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელს „მამათმავალი“ უწოდა.

> **სანდრო ბრეგაძე, „ქართული მარში“, 24 აგვისტო:** ესტონეთის დებილი პრეზიდენტი და მამათმავალი დაზვერვის შეფი (მარჯვნივ) – ქართული მარში დესტრუქციული ძალაა – აი ესენი რომ იტყვიან ამას მაშინ ვგრძნობ რომ უძლიერესები ვართ!!“

გავრცელებული ფოტო ყალბია, რადგან მასზე ესტონეთის პრეზიდენტთან ერთად გამოსახულია ესტონელი მწერალი, მთარგმნელი და კულტურის კრიტიკოსი მიკ პარნიცაა გამოსახული, რომელიც, ამავდროულად, სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა აქტიური უფლებადამცველია[43].

სანდრო ბრეგაძე ესტონეთის პრეზიდენტს გონებრივი შესაძლებლობების ნიშნით შეურაცხყოფს და ნიკ პარნიცას „ესტონეთის დაზვერვის“ შეფად მოხსენიებით, სავარაუდოდ, მისი აზრით, ცდილობს კიდევ უფრო დააკნინოს ესტონეთის პრეზიდენტი. სანდრო ბრეგაძის ამ თავდასხმის მიზეზი ესტონეთის საგარეო დაზვერვის სამსახურის 2019 წლის ანგარიშს უკავშირდება, რომელშიც „ქართული მარში“ საქართველოში ანტილიბერალური დისკურსის გამხმოვანებელ ქოლგა ორგანიზაციად არის მოხსენიებული[44].

2 ნოემბერს „ქართული მარშის“ დასავლეთ საქართველოს ოფისის ხელმძღვანელმა და ქუთაისის მაჟორიტარობის კანდიდატმა, ერმილე ნემსაძემ, საკუთარ ფეისბუკ ანგარიშზე გამოაქვეყნა პოსტი, რომელშიც საქართველოში აშშ-ის ელჩზე კელი დეგნანზე დეზინფორმაცია გაავრცელა. ამ პოსტით, ერმილე ნემსაძე მორალური კრიტერიუმების ნიშნით ესხმის აშშ-ის ელჩს თავს.

[43] https://www.facebook.com/sandro.breg/posts/4960143127344510
[44] https://netgazeti.ge/news/427239/

Ermile Nemsadze, „ქართული მარში“, 2 ნოემბერი: „ყურადღება!!! ამერიკის ეს ელჩი არის იმ 17 დიპ-ლომატში რომლებმაც ტრამპის იმპიჩმენტი მოითხოვა. გაქანებული ლიბერასტი და ლგბტ ლობის-ტი!!!“

ერმილე ნემსაძის პოსტი დეზინფორმაციაა. კელი დეგნანი არ ფიგურირებს დონალდ ტრამპის იმპიჩმენ-ტის პროცესის ინიცირებაში. ის არც ამ საქმეზე დაკითხულ დიპლომატთა შორისაა. კელი დეგნანი საქარ-თველოში აშშ-ის ელჩის პოზიციაზე თავად პრეზიდენტმა ტრამპმა წარადგინა 2019 წლის 4 სექტემბერს.[45]

[45] http://mythdetector.ge/ka/myth/kartuli-marshis-cevri-ashsh-elchze-dezinpormatsias-avrtselebs

MDF
მედიის განვითარების ფონდი
MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION

Sapari / Laqgahn

UN JOINT PROGRAMME
FOR GENDER EQUALITY

შვედეთი
Sverige

UNDP